

17.

საბჭოთავო
საბავშვო

პიონერი

140
1929




43

№ 13
1929

სახეგზავნი

8



6 ივლისი კოოპერაციის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მსოფლიო კოოპერაცია ათვალერებს თავის რიგებს და ისახავს ახალ გზებს მომავალი მუშაობის განსავითარებლად. მაგრამ კოოპერაცია ყველგან არ არის პროლეტარულ-კლასიური ინტერესების გამომხატველი.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, გამარჯვებული მუშათა კლასი აშენებს საბჭოთა კოოპერაციას. კოოპერაცია ჩვენი მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი ძარღვია, ჩვენთვის კოოპერაცია მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა დიდი მიზნის — კომუნისმის — განსახორციელებლად. ბურჟუაზიული კოოპერატორები ბურჟუაზიული ტრესტების, სინდიკატების, ერთა ლიგისა და სხვა ორგანოების დროშის ქვეშ მიჩანალებენ.

განა ვინმეს ძალუმს დაივიწყოს 1927 წელი, როცა საბჭოთა კოოპერაციის ხელმძღვანელებმა წინადადება შეიტანეს ალიანსში, რათა კოოპერაციასაც თავისი ხმა შეეერთებია მსოფლიო მუშათა კლასისათვის იმ საშინელებების წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა ამერიკის ცოფიანმა ბურჟუაზიამ საკოსა და ვანცეტის მიმართ?

„ჩვენ პოლიტიკაში ვერ ჩავერევით“, — უსირცხვილოდ განაცხადეს ალიანსის ბურჟუაზიულმა მოღვაწეებმა, და ამით მათაც ხელი გაისვარეს საკოსა და ვანცეტის სისხლში.

ალიანსის მეთაურები მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან ერთა ლიგისა და გაკოტრებული მეორე ინტერნაციონალის ყოველგვარი წინადადება. სწორედ ამიტომაც, რომ წელს ალიანსის მოწოდებიდან მოხსნილია საბჭოთა კავშირის კოოპერატორთა ხელის მოწერა. და თუ ჩვენ მაინც შევდივართ ალიანსში, ეს იმისათვის, რომ ალიანსის ტრიბუნიდან ხმამაღლა გადავძახოთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს საბჭოთა კავშირის კოოპერაციის კლასიურობის შესახებ და ვამხილოთ ევროპის მაჩანჩალა კოოპერატორთა მუხანათობა, მებრძოლი მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული.

კოოპერაციის საერთაშორისო დღემ უნდა გააძლიეროს ჩვენი კოოპერაცია.

არ უნდა დარჩეს არცერთი მშრომელი კოოპერაციის გარეშე.

კოოპერაციის საერთაშორისო დღემ ხელი უნდა შეუწყოს უღარბესი გლეხების კოოპერაციაში შეკავშირებას. დასასრულს უნდა აღენიშნოთ ახალგაზრდობის სუსტი ჩაბმა კოოპერაციაში. მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით მთელ წევრებთან შედარებით ახალგაზრდათა ხვედრითი წონა 4 პროცენტს არ აღემატება. ეს ძალიან მცირეა.

დღეიდან იწყება კოოპერაციაში ახალგაზრდათა შეკავშირების თვიური, გამოვიყენოთ ეს დღე ახალგაზრდობის ფართო მასების კოოპერაციაში გასაერთიანებლად.

როგორი მონაწილეობა უნდა მივიღოთ ჩვენ, პიონერებმა და მოწაფეებმა, ამ თვიურის ჩატარებაში?

უპირველეს ყოვლისა, ყოველი პიონერი და მოწაფე მოვალეა, თუ მისი მშობლები, ძმები და მეზობლები გაერთიანებულნი არ არიან კოოპერაციაში, განუმარტოს მათ კოოპერაციაში გაერთიანების აუცილებლობა და სარგებლობა, შეგავლენა მოახდინოს მშობლებზე, რომ კერძო ვაჭრებიდან მათ არაფერი იყიდონ, ვინაიდან ამით ჩვენს კლასიურ მტრებს — ვაჭრებს, ჩარჩებს და კულაკებს — ვაძლიერებთ. გარდა ამისა, კერძო დუქნებში ნაყიდი საქონელი უვარგისია და ძვირიც.

ყოველი მოწაფე მოვალეა შეაგნებინოს სკოლის ხელმძღვანელებს სკოლაში კოოპერატიული კუთხეების გახსნის საჭიროება, სადაც მშრომელი ბავშვები იაფად მიიღებენ კარგი ხარისხის ცხელ საუზმეს, წიგნებს, რვეულებს და სხვ.

ყოველი პიონერი და შეგნებული მოწაფე კოოპერაციის იდეების გამავრცელებელი უნდა იყოს სოფლად და ქალაქად.

ყოველი პიონერი და მოწაფე ხელს უნდა უწყობდეს საბჭოთა კოოპერაციის განვითარებას.

კოოპერაციის გაძლიერებით ჩვენ განვამტკიცებთ სოციალისტურ მშენებლობას.

პატარა კოოპერატორი

პრინციპული განხილვა.

აბასთუმნიდან ტფილისისაკენ მოვემგზავრებოდი, გოპაძის სახელობის ამწვანებულ ხეივანს გამოვცალდით. ჩვენს ეტლში სამი ნაცრისფერი ცხენი იყო შემბული. მე-ეტლე ხანგამოშვებით დასკუიოდა მათ, ცხენებს კუნთები დაეჭიმათ და ტანზე თეთრი ქაფი ასლიოდათ. მიეფარა თვალს აბასთუმანი, და წინ გადაგვეშალა მთების კალთები, დილის პირისფერი ბურუსში გახვეული.

მაისის დამლევით იყო. ირგვლივ ზურმუხტი და ოქროს ნაპერწკლები კრთოდა. ალტაცებით შეეყურებდი ამ დიად ბუნებას.

ავერ კიდევაც მიეუახლოვდით აწყურს, გამოჩნდა მისი დაეანგული ციხე, რომელიც დაბაირახებული იყო წითელ, ყვითელ, მწვანე ფერებით: თათრის ქალები შეყრილიყვნენ.

ბაირამი იყო. შევედით შიგ აწყურში, მთავარ ქუჩას მიეუახლოვდით. ქუჩა გატენილი იყო, და ეტლს გასავლელი აღარ დარჩნოდა. მხოლოდ აქ უკვე ბაირამს კი არ დღესასწაულობდენ, არამედ მის წინააღმდეგ მიდიოდნენ.

ეს იყო პროცესია პატარა ბიჭების, მოწაფეების, კომკავშირელებისა და პიონერების, რომელთაც ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით მოეყარათ თავი.

ვივილ-ხივილით, სხვადასხვაწარწერიანი პლაკატებით, გადაცმულები მიიმღეროდნენ რევოლუციონურ

სიმღერებს თათრულ ენაზე. ქუჩაში მდგომი მოხუცი დედაკაცები მუშტებს უღერებდნენ მათ, რასაც პატარები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ და განაგრძობდნენ სვლას.

კოოპერატივის კარებთან მდგომ უფროს პარტიულ ამხანაგებს ღიმი მოსდიოდათ მათ შეუპოვრობაზე და თვალებით ამხნევებდნენ მათ. უცებ ბავშვებში ჩოჩქოლი შეიქნა: პროცესიის მეთაურ წითელხალათიან ბიჭს მოხუცებულმა დედაკაცმა ხელიდან დროშა გამოსტაცა. თვალის დახამხამებაში ბავშვები დედაბერს თავს დაესხნენ, დაიბრუნეს დროშა მუქარით, ყვირილით და დანდობას აღარ უპირებდნენ. დედაკაცმა, რომელსაც თავისი შვილი-შვილი ამით უნდოდა გამოეთრია, უკან-უკან დაიხია და წყევლა-კრულვით ხალხში შეიმალა. მეთაური უკვე შუა გუნდში იდგა, დროშას ათამაშებდა, უშიშრად მიდიოდა წინ.

ხალხში სიცილი და ხმაურობა ასტყდა, ზოგი ტაშს უკრავდა და „ჩოხ იახში! ჩოხ იახში!“ გაიძახდა. ბავშვებმა ერთი კიდე დასკუივლეს უკვე დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, ჰაერში პლაკატები აფრიალეს და მოწერი-ალე ხმით სიმღერა დასძახეს. ეს ხმა მეჩეთში მყვირალ მოლას ხმის საოცარ კონტრასტს წარმოადგენდა.

ასე უნებლიედ შევიქნენ მოხუცი ბებიასა და შვილი-შვილის პრინციპული განხეთქილების მოწმე.

ეტლი ვასცდა აწყურს.



პ ი ო ნ ე რ ი

1929

15 ივლისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-
ების და განათლების სახალხო კომისარიატის სტეიალური
აღზრდის მთავარმართველობის ეურნალი ბავშებისათვის

წელიწადი IV
№ 13

პატარა მუშა

პატარა პეტიკო საბავშო სახლის ყველა ბავშს უყვარ-
და, ვინაიდან კრებაზე მუდამ ლაპარაკობდა და ყველას
კარგად ექცეოდა.

მაგრამ დადგა გაზაფხული. მზე მხიარულად ბრწყინ-
ნავდა საბავშო სახლის ფანჯრებში, ცელქი ჩიტები მხიარ-
ულად ჭიკჭიკობდნენ ეზოში.

იმდენად მშვენიერი გაზაფხული იყო, რომ საბავშო
სახლის სამი ბავშვი ალტაცებული გაიქცა, სად მიდიოდნენ,—
თვითონაც არ იცოდნენ.

საბავშო სახლის გამგე ქალი ამის გამო ძლიერ
სწუხდა. მან გადასწყვიტა მოეგროვებინა ბავშვები, ჩაეგო-
ნებინა მათთვის, რომ გაქცევა ძალიან საზარალო იყო
ბავშებისათვის, ვინაიდან ისინი დარჩებოდნენ ქუჩაში,
სწავლას ჩამოშორდებოდნენ და გაირყვნებოდნენ.

პეტიკოსაც სთხოვა, რომ იმასაც ელაპარაკა კრე-
ბაზე.

— პა, პეტიკ, ილაპარაკებ?

— ჰო, ვილაპარაკებ.

მოვიდნენ, მოგროვდნენ ყველანი, ჯერ ილაპარაკა
გამგემ, მერე მისმა თანაშემწემ, ბოლოს პეტიკოს ლაპა-
რაკის რიგი მოვიდა.

პეტიკომ ფანჯარაში გადაიხედა. ოჰ, რარივად
ბრწყინავდა მზე! გაზაფხულის რა სასიამოვნო სურნელე-
ბა შემოდიოდა გარედან, როგორ ჭიკჭიკობდნენ ჩიტები!

პეტიკომ უყურა, უყურა და თვითონაც ვერ გაიგო,
თუ როგორ დაიწყო და რა სთქვა.

— ამხანაგებო, გაზაფხული დადგა, მინდორი და
მთები ამწვანებულა, ხე, ყვავილები და ფრინველები ჩვენ
გვეძახიან... წავიდეთ! დავიაროთ მთა და ველი, გაზა-
ფხული ვიდღესასწაულოთ...

— ვაშა! — უცებ დაიგრილა დარბაზმა, ყველანი
წამოხტნენ სიხარულით და ტაში დაუკრეს.

გამგე პირველად სახტად დარჩა, მაგრამ რა დაინა-
ხა ბავშვების სიხარული, თვითონაც ვერ შეიკავა სიცილი.

— ნახე, რა ჭკნა პეტიკომ? — უთხრა მან თავის თა-
ნაშემწეს.

— მართლაც, დღეს ბავშვების გონება გარეთ არის,—
უთხრა თანაშემწემ,—კარგი იქნება ბავშვები სასეირნოდ
წავიყვანოთ.

— კარგი, წავიყვანოთ.

ბავშვი უყურებდნენ გამგეს, ხმაურობდნენ.

ბოლოს თანაშემწემ აცნობა სეირნობის შესახებ
ისინი მოგროვდნენ ყიყინით და მწკრივ-მწკრივად წავიდნენ
ქალაქგარეთ.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ძლიერ მხიარულნი
იყვნენ.

მაგრამ მეორე დღეს დაღონდნენ, როდესაც გაიგეს,
რომ პეტიკო გაქცეულიყო საბავშო სახლიდან.

* *

ბრწყინვალე თბილი დღე იყო.

პეტიკო დაეხეტებოდა ქალაქის ცენტრის ფართო
ქუჩებში. როდესაც მან ერთი მშვენიერი ღუქნის ფანჯა-
რაში დაინახა კარგი საკმელები დაწყობილი, ისე მოუნდა
ჰამა, რომ იმ ინდაურს მართო შესჭამდა.

მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ საბავშო სახლიდან
გაქცეული იყო და საკმელი არა ჰქონდა...

პეტიკო წინ წავიდა, დაიწყო სხვა ღუქნების თვა-
ლიერება, რომ ჰამაზე არ ეფიქრა, მაგრამ არაფერი
ეშველა, ჰამა არ ავიწყლებოდა.

მოაგონდა საბავშო სახლის სადილი. „დღეს გურ-
გენა, პატვიკა, კორენა უჩემოდ დასხდებიან სასადილოდ
და კარგად გაძლებიან! მე კი?... რა უნდა ვქნა?... მოწყა-
ლე“ უნდა ვითხოვო, მაგრამ როგორ? სირცხვილი არ

არის? დიდი ბიჭი ვარ, დავდგე და ხელი გავიშვირო? უფრო კარგი არ იქნება დაგბრუნდე ჩვენს საბავშვო სახლში?" — ფიქრობდა პეტიკო... „არა, არა. თვალთ ვერ დავენახვები გამგეს, მე ის ძლიერ გავაჯავრე“.

ასე ლაპარაკით მიდიოდა პეტიკო წინ. უნდოდა ერთ კუთხეში დამდგარიყო, მოწყალება ეთხოვა, მაგრამ რცხვენოდა.



შორაპნის მაზრის პიონერთა ლაშქრობის შტაბი: ბიუროს თავმჯდომარე გველესიანი, მებრძოლი შვილი და ბაღდავაძე.

ერთი სახლის გვერდით გავლისას პეტიკომ დაინახა წინსაფარიანი კაცი, რომელიც იღვავდა და ელოდა. ერთ-თავად იყურებოდა ქუჩის ერთ მხარეს.

— ფუ! არ მოვიდა, — სთქვა მან, — საქმე დამრჩა...

პეტიკო გაჩერდა მასთან და თვითონაც შეუღებულად დაიწყო ერთ მხარეს ყურება.

ოსტატმა შეამჩნია პეტიკო.

— ბიჭო, უსაქმოდ ხარ?

— დიაღ.

— მაშ მოდი, დამეხმარე, გასამრჯელოს მოგცემ.

— კარგი, — უთხრა პეტიკომ სიხარულით.

შევიდნენ ეზოში. სამზარეულოსთან ერთ პატარა ოთახს აშენებდნენ. პეტიკოს უნდა მიეწოდებინა ოსტატისათვის აგური და კირნარევი ტალახი, ოსტატს კი უნდა აეგო კედელი.

პეტიკომ ხალისით დაიწყო მუშაობა.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა ოსტატის თანაშემწე, დაახლოვებით თვრამეტი წლის ბიჭი.

მან სთქვა, დედა ავად არის, ამიტომ დამავიანდაო.

ოსტატმა ცოტა წაიდუღუნა თავის თანაშემწეზე, მერე უბიდან ამოიღო ვერცხლის ფული და მისცა პეტიკოს. მხიარული ხტუნაობით გამოვიდა პეტიკო ქუჩაში.

იმ წუთას წავიდა მეწვრილმანის დუქანში, იყიდა კამფეტები, გემრიელად დაიწყო ჭამა და განაგრძო გზა.

ცოტა ხნის შემდეგ პეტიკომ იგრძნო, რომ კიდევ შიოდა. ის გაჩერდა ქუჩის კუთხეში, მეწვრილმანის დუქანთან, უყურებდა ხარბად ჩამიჩს და ნივოზს.

ამ დროს ერთი დედაკაცი მოდიოდა, ხელში ქაომებით სავსე ვალია ეჭირა. ის შეჩერდა.

— ეი, ბიჭო, აქ მოდი! — დაუძახა მან პეტიკოს.

პეტიკომ მიიბრინა.

— მოდი, ეს ქათმები სახლამდე წამომიღე, ფულს მოგცემ.

— კარგი, — უთხრა პეტიკომ და ვალია აიღო, მხარზე დაიღო.

საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ პეტიკო დონიერი ბიჭი იყო, გაუძლო სიმძიმეს.

ოჰ! რა გრძელი იყო გზა!

ბოლოს შევიდნენ ერთი სახლის ეზოში, მერე ავიდნენ კიბეებზე და შეჩერდნენ სამზარეულოს წინ.

— გაიზარდე, — უთხრა ქალბატონმა, ჯიბიდან ამოიღო ორი შაური და მისცა.

პეტიკო დაქანცული იყო სიმძიმისა და ქათმების სუნისაგან, მხარიც სტკიოდა. მძიმედ ამოისუნთქა და გამოვიდა ხელახლად ქუჩაში.

„ეს რა ცოტა ფული მოუტია ასეთი მძიმე შრომისათვის!“ — ფიქრობდა პეტიკო... „ეს უსათუოდ ბურჟუას ცოლი იქნება... რარივად სარგებლობს სხვისი შრომით! რა ვიცილო: ჩამიჩი, თუ პური?... არა, ჩამიჩს ვიციდი“.

და შევიდა კუთხის დუქანში. პეტიკომ იყიდა ერთი მუქა ჩამიჩი და ჯიბეში ჩაიყარა.

სჭამდა და იგონებდა საბავშვო სახლის სადილებს: „ახლა, ვინ იცის, გურგენა, პატეკია და კორენა სადილობენ და ჩემზე ლაპარაკობენ... იმათ ჰგონიათ, რომ მე აფრიკაში წავედი... დიდი საქმეა? ნუთუ ვერ წაველ“...

„მაგრამ შეიძლება ჰგონიათ, რომ მე ქუჩაში მოწყალებას ვთხოვლობ?“... არა! არა! გაიგეთ, ამხანაგებო, მე მუშა ვარ და შრომის ხელფასს ვიღებ“.

ასე ფიქრით პეტიკო წყნარი ნაბიჯით მიდიოდა ერთ გრძელ ქუჩაში.


უცებ დაინახა, რომ რკინის გზის სადგურთან მისულ ყო.

პეტიკომ ერთხელ იმგზავრა რკინის გზით, მაგრამ კარგად არ ახსოვდა. ახლა მას უნდოდა ყველაფერი ენახა.

ავიდა კიბეებზე, შევიდა სადგურში. დიდძალი ხალხი მოგროვილიყო.

ყველანი ელოდნენ მატარებელს.

პეტიკო გარეთ გამოვიდა პირდაპირ კარიდან და გაიარა მარცხნივ რკინის ლიანდაგის მიმართულებით.



ხესტაფონის რკინისგზის ადგილკომთან არსებული ნ.კ კოლექტივი.

მერე გავიდა რკინის ლიანდაგზე და კვლავ წინ წავიდა; გაოცებული უყურებდა ვაგონების გრძელ მწყრივებს.

მის წინ გამოჩნდა ერთი დიდი შენობა. ეს რკინის გზის სახელოსნო იყო.



როდესაც მიუახლოვდა, გაოცდა ხმაურობისაგან; ერთ ალაგას ჩაქუჩებს სცემდნენ, მეორე ალაგას რკინის ხმა გაისმოდა, ცეცხლი ბრიალებდა...

შეუმჩნევლად შიგნით შევიდა, არავინ არაფერს ეუბნებოდა: „ჩანს, მეც მუშად მთვლიან, — ფიქრობდა პეტიკო, — რა კარგია!... მეც მინდა მუშა ვიყო“...

მივიდა სამჭედლოსთან, გაჩერდა. ცეცხლი ისე აღიოდა, ბრიალებდა, თითქოს ხანძარიყო.

ამ დროს ერთი გაწითლებული რკინა ამოიღეს ცეცხლიდან და დაიწყეს ჩაქუჩების სწრაფად დარტყმა. ცეცხლის ნაპერწყლები იფანტებოდა გარშემო, ერთი ნაპერწყალი პეტიკოს თავზე დაეცა.

— ვაი! ვაი, დავიწვია! — უცებ დაიყვირა მან.

მუშები შეჩერდნენ და სიცილი დაიწყეს, რადგანაც იცოდნენ, რომ პატარა ნაპერწყალი არ დასწვავდა.

— ამხანაგო, აქ უსაქმოდ დგომა არ შეიძლება. ნებართვა უნდა მიიღოთ, — უთხრა ერთმა მუშამ.

პეტიკო გარეთ გავიდა, მაგრამ კარებიდან განაგრძობდა ყურებას.

„რა კარგია აქ, — ფიქრობდა ის, — ახ, მე რომ მუშა ვყოფილიყავი!..“

და დაიწყო ოცნება: ვითომ თვითონ მუშაა, მიდის გამურული სახით და დაკაპიწებული მკლავებით, ჩერდება ამხანაგების წინ და ეუბნება:

— აი, ამხანაგებო, მე მუშა ვარ და ამ დაკორძებული მკლავებით ვიბრძვი მსოფლიო რევოლუციისათვის!..

ოჰ! როგორ გაუკვირდებთ პატვიკას, გურგენას და კორენას...

უცებ მოისმა საშინელი ყვირილი, თითქოს ათასმა ხარმა ერთად დაიბლაღაო.

პეტიკოს ისე შეეშინდა, რომ უნდოდა გაქცეულიყო, გაქცევის დღოს ერთ მუშას დაეჯახა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა მუშამ.

— მინდა მუშა გავხდე. — უთხრა გაწითლებულმა პეტიკომ.

— შენ ჯერ პატარა ხარ, გეშინია ჩვენი საყვირების ხმის. ნუ გეშინია, ეს ხმები იმას ნიშნავს, რომ საქმე გათავდა. სადა სწავლობ?

პეტიკო უფრო გაწითლდა. — სოჭი.

პეტიკო იძულვებული იყო ყველაფერი ეთქვა, როგორ გამოიქცა საბავშვო სახლიდან და რა შემდეგ.

— აი, კარგი არ გიქნია! — უთხრა მუშამ, შენ იქ სწავლობ, წინ მიდიხარ, ქუჩებში კი რა უნდა გააკეთო!... მაშ მოდი ერთად წავიდეთ.

პეტიკო თავჩაღუნული მისდევდა. მუშა აჯერებდა პეტიკოს, რომ დაბრუნებულიყო საბავშვო სახლში.

— იქ წახვალ, ისწავლი, როდესაც კი გაიზრდები, სიტყვას გაძღვე, მუშად მიგიღებ... ჰა, მოდიხარ?

პეტიკო ყოყმანობდა.

მერე წელა უთხრა:

— მრცხვენია.

— არა უშავს, მე მოველაპარაკები გამგეს.

და ერთად წავიდნენ საბავშვო სახლში.

რომ იცოდნენ, პეტიკოს როგორ უცემდა გული! მას უნდოდა სახე დაეფარა, რომ არავის არ დაენახა ის.

გამგემ ღიმილით მიიღო პეტიკო.

— გაქცეულა, როგორა ხარ?

პეტიკო წითლდებოდა და წითლდებოდა, თითქოს წითლად შეეღებათ ის.

რამდენიმე წუთში საბავშვო სახლში ხმა გავრცელდა, პეტიკო დაბრუნდა. ამხანაგები მოვიდნენ და მის გარშემო მოგროვდნენ.

— ეს რა არის? გაქუჩყინებულხარ, რა არ გინდა, რომ შენზე არ არის, მიწა დაუყრიათ...

— ჰო, დღეს ეს პატარა მუშა გამხდარიყო, — უთხრა პეტიკოს მომყვანმა მუშამ.

ის გამოემშვიდობა გამგესა და პეტიკოს და წავიდა.

პეტიკო თავის ამხანაგებშია... აი გურგენა, პატვიკა, კორენა, სურენა... აგრეთვე სამი გაქცეულიც დაბრუნებულა... აი ყველანი, ყველანი!.. რა მხიარულად არის პეტიკო!..*)

არაზი.

ქარხანაში

დაუდგენია ერთხმად წარსულ კრებაზე ყველას: ნახონ ქარხანა დიდი, მდგარი მახლობელ ველად.

და ეხლა, როს მზეს სითბო მოუტანია დილის, — ეცემა გაშლილ შარას მათი რიგების ჩრდილი.

მიუახლოვდნენ კიდევ ცას, გადაქცეულს ბოლად, სადაც აღნობენ რკინას, სადაც აღნობენ ფოლადს, სად მედგარია მკლავი და არ იციან კრთომა, სადაც მეფობს და სუფევს მხოლოდ შრომა და შრომა.

ან ვის შეაკრთოვს ბრძოლა, თავი ვინ იგრძნოს ობლად, როცა შესცქერი ხრახნილს, დინამოს, ცეცხლს და ბორბალს.

აკვირდებიან მუშებს, ფიქრობენ: „ნუთუ წინად იყვნენ ასევე მედგრად, როგორც ნაწრთობი რკინა“.

გრძნობენ, სიციცხლე ძველი ჰგავდა შორეულ უკუნს... ეხლა სხვა ხმები მოაქვს ქარხნის ქშენას და გუგუნს.

*) ეს მოთხრობა მოთავსებული იყო სომხურ საბავშვო ჟურნალ „კარმირ-წილერ“-ში (1928 წლის № 2) და სთარგმნა ჩვენი ჟურნალისათვის ლ. კარაპეტისანმა.



ა.
— რა გქვიან? — შეეკითხა მოსახლვრე ჯარის
ოფიცერი.

- აზა, — მიუგო გოგონამ.
- სადაური ხარ?
- არ ვიცი.
- ბოშა ხარ?
- ასე გვეძახიან ჩვენ.

— ჰო... აი, მე ვხედავ, რომ შენ ქვიანი გოგო-
ნა უნდა იყო და, იმედია, მართლს მიპასუხებ ყველა ჩემ
შეკითხვაზე... აი შენ შოკოლადი... აი ფულიც. გაგათა-
ვისუფლებ კიდევ... თუ არა და აგერ იმ ხეზე ჩამოგვი-
დებ ყირამალა... გესმის?!

- დიად!
- სადაა მამაშენი?
- არ ვიცი... ალბათ იქნება სადმე... მეც მომე-
ნატრა მისი ნახვა... საყვარელი მამა!..
- ჰმ! საყვარელი!... სტკვი!
- არ ვიცი, ძია!

— ნუ ჯიუტობ, თორემ აგერ ეს პატივცემული
ბოიარი ამბობს, რომ შენ იმ დღეს, გზად რომ გაგი-
ვლიათ, ამის ბაღში გადასულხარ და ვაშლი მოგიპარავს...
ამისათვის ციხეში ჩაგსვამ!.. — იცრუა ოფიცერმა შესა-
შინებლად, და თან თვალი ჩაუკრა, ამ დროს კარი
რომ შემოაღო და წინ მწვევარი შემოაგდო ჩასუქებულმა
თავადმა, რომელიც ნადირობას გაეტაცნა და სახლგონის
პატარა სადარაჯოზე ძმისწულს ეწვია.

— ჰა, რაო, ნიკოლ? ეგენი ყველანი ქურდებია. სა-
ძაგელი ბოშა!.. — ისე წარმოსთქვა ბოიარმა, რომ არც კი
იციოდა, რათა სთქვა. ხენეშით ჩამოჯდა, შუბლზე ოთლის
შემშრალემა იწყო.

— სტყუის, ბატონო ლეიტენანტო! — მიუგო გო-
გონამ და შიშით ტირილი იწყო. — მე არც კი ვიცი,
სადაა მამის ბაღი; მე სოფელში მხოლოდ ძალუა მართას
დავდეგდი, ის იქ მკითხაობდა...

— ჰა, რაო?! სტყუის! ერთი ამ
თხუნელას უყურეთ! — ბრაზობდა ბოიარ-
ი, და მერე შეეკითხა ძმისწულს: — რა-
ტომ დაგიჭერია?!

— რატომ? უსათუოდ ამ ბოშების
შემწვობით ახერხებენ კომუნისტები
ს. ს. რ. კ. კავშირის გაბმას, აქედან გა-
აქვთ ამბავი, იქიდან შემოაქვთ პროკ-
ლამაციები და სხვა... ამ საქმეში, ჩვენი
აგენტების ცნობით, ვასკო დილარო,
ამისი მამა, არის შემჩნეული, მაგრამ ხელ-

ში ვერ ჩავიგდებო... ბევრჯერ დაგიჭირეთ ბოშები იმის გამო,
მათი მამასახლისიც მრავალჯერ გაგამათრახეთ, მაგრამ არ
გასთქვეს სადაა. ქარავანი ინახავს მას... აქვე არიან ხომ
ესენი დაბანაკებულნი ახლა, თქვენი მინდვრების ბოლოს,
ტყის პირას... წელანაც დავეცით, მაგრამ ეს გოგონა შე-
გვრჩა ხელში ტყვედ. იქნება ეს მაინც გამოვტეხო მეთქი...

— ჰო, ჰო... მოხერხებული ხარ, ნიკოლ! აბა, აუ-
წიე ყურები!.. — მოუწონა ბიძამ, მაგრამ გოგონას კრინ-
ტი ვერ დააძვრევინეს, როგორც დაარიგეს მამამ და ბო-
შებმა, ისე იტყეოდა... განა არ იციოდა აზამ, რომ მამა
დიდი მუხის ძირას იყო, სადაც საქმელი მიჰქონდა ხოლ-
მე, მაგრამ როგორ გასთქვამდა?!


— მაგ მაიძუნს მე წაეყვან და მოვატყვიანებ, ლო-
რებს მიფუყენებ, — წარმოსთქვა ბოიარმა და წამოწვა
გრძელ სკამზე.

გოგონა ტიროდა, მაგრამ...
ამ დროს კი...

ბ.

— მეტი გზა არაა, მუსა, ამაღამ თუ არ გადავადი
სახლვარზე, ალბათ ხვალ დაითვლება ჩემი დღენი... ვი-
ცი, რომ კატასავით ჩამომახრობენ... მეყო ამდენი მალ-
ვაც... მაგრამ ჩემი გოგონას ბედი მალეღებებს... ისინი
დასტანჯავენ მას... აბა ვის დაინდობენ, არც ღიღს დაგიდე-
ვენ და არც ბავშს... როგორმე უნდა გავათავისუფლოთ...
და წავალ იქ, ვაღმა, თან წაეყვან, იქ ბავშვებს არ აწ-
ვალებენ, იქ ზრდიან, ასწავლიან, მომავალ აღმამიანებად
ამზადებენ, ის ყველა დაზარალებული სამშობლო... — უთ-
ხრა ვასკომ და თავი ჩაღუნა.

— კარგი... ვნახოთ... მოვისახროთ... ნუ აჩქარდე-
ბი... მოსახლვრენი გაძლიერებული არიან და ვაი თუ ხი-
ფათი არ ავცდეს... — მიუგო მოხუცმა ბოშამ და ჩიბუხს
მოუკიდა...



საჩუმე ჩამოვარდა...
პატარა კოცონი გუზგუზებდა მოფარებულ ადგილას, ბანაკის მოშორებით, სადაც ახლა მუსაიფი გაება ამ ორს...

შორით ისმოდა მდინარის შხუილი...
ტყე შრიალებდა ნიავის ნელი შემოქროლოვით...
ჭოტი ჰკიოდა...
უფარსკალავო ცა გარინდებული დაჰყურებდა შავ-ნაბდანი ღამის ამრეხას...

რამდენიმე დღე იყო, რაც ბოშათა ქარავანს აქ დაეცა კარვები, მუდმივი მოგზაურობით დაქანცულს...
ეს ხომ ის ხალხია, რომელსაც არა აქვს მუდმივი ბანა, ხეტიალში ლევს წუთისოფელს; ისინი მაინცდამაინც არც ძალიან დარდობენ ამაზე, მაგრამ რუმინეთის ხელისუფლების ბესარაბიაში, სადაც ისინი მთელი ზაფხულობით რჩებიან ხოლმე, ძალადობას ვეღარ უძლებდენ და შეწუხებულნი რატომღაც საბჭოთა კავშირისკენ ილტვოდენ, მოემართებოდენ...

— იქ მაინც დავისვენებთ თავისუფლად... — იტყოდენ ხოლმე, და ეს სიტყვები არ ეპარებოდა პატარა აზას...
ამ საღამოს ბოშათა ბანაკი დაღონებული იყო, არ ისმოდა მათი ჩვეულებრივი მხიარული სიმღერა, მუსიკა, ცეკვა. დღეს მათ დაეცა სანაპირო ჟანდარმერია და ააწიოკა, ბევრს ახლაც ეწოდა ნამათრახალი ზურგი, მაგრამ ვასკო მაინც არ მისცეს ხელში. დღეს დაიჭირეს ყველას საყვარელი აზა...

— ლეიტენანტმა ბევრი აწვალა, მაგრამ მაინც ვერ გამოიტყუა გოგონა და მერე ბიძას აჩუქაო, — მითხრა ჯარისკაცმა... — გადასცა ახალგაზრდა ბოშამ ვასკოს და მუსას. — ის ალბათ სოფელში წამოიყვანს და იქიდან მოვიტაცოთ.

— ოჰ!!! — აღმოხდა ვასკოს სიბრაზით და წამოხტა, გაემართა საითღაც.
— საით, ვასკო?
— ან ჩემი გოგონას თავისუფლება, ან არა და დეე შეც იქვე ამკუწონ.
— არა... მოიცა... მაგრამ სუ...
— რა იყო?
— ცხენების ფეხის ხმა... ამ ხეს ამოვეფაროთ...

3.

— ახლა კი, ბიძაჩემო, ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ და დავბრუნდე სადარაჯოზე! — უთხრა ლეიტენანტმა ბოიარს ქუდთან ხელის მიტანით, რა ტყეს გამოაცილა და მინდვრად გზაზე შესდგენ.

— ან აქამდე რატომ შესწუხდი, ნიკოლ? ნახვამდე!.. — მიუგო ბოიარმა.
— ამ ბოშას თხუნელას კი ჭკუა ასწავლე ღორებში!.. — უთხრა კვლავ ლეიტენანტმა და მან და მხლებელმა ცხენები უკან შეატრიალეს...

— ეგ შე ვიცი!.. — მიუგო ბოიარმა და უკან მომდევ მოურავს უთხრა: — გამოიგდე წინ ეგ მაიმუნი, მოურავმა, რომელსაც ცხენზე შემოესვა ბავში და უკმაყოფილოდ გულში ილანძღებოდა, რადგანაც ძილმორეულ გოგონას ძლივს იმაგრებდა, სიამოვნებით ჩამოსვა და თავში წაქვრივ შეუტია:

— იარე წინ!
— შესდგე!!! — დასჭყივლა ვასკომ და გადახტა, წინ უყელა, ცხენის სადავეს უტაცა ხელი მოურავს, რა ბოიარი წინ გაუშვეს, არ უნდოდათ მისთვის რამე ევნოთ, რაიც ძვირად დაუჯდებოდა ბოშათა ქარავანს.

— მამა! — შეჰკივლა აზამ, რა მამის ხმა იცნო, და მოეხვია.

ვასკომ ბებუთით აღმართული ხელი ძირს დაუშვა.
— შვილო აზა!!! — და გულში ჩაიკრა. — ჩამოხე ძირს!.. — უყვირა ისედაც ელდანაკრავ მოურავს და თვითონ მოახტა ცხენს, აზა წინ შემოისვა...

— მშვიდობით!.. — ეს-ლა უთხრა ამხანაგებს და გაქუსლა ნაცადი გზით, ღამის სიბნელეში ჩაინთქა.

— მშვიდობით იარ!.. — მიაძახეს ამხანაგებმა.

— აზა, აიბარგე აქედან და შენს ბატონს უთხარი, რომ ნურავის აწუხებს, თორე!.. — უთხრა მოურავს და აღმართა მუშტი, მაგრამ მუსამ შეაჩეოა.

— მიტრი, სდექ... ნუ...
თავზარდაცემული მოურავი ძუნძულით დაეშვა თავქვე...

სადაც თოფმა იგრილა...
როგორც ბოლოს გამოირკვა, ეს ბოიარმა გაისროლა. არავინ იცის, განგებ თუ შიშით, მაგრამ როცა უკან მოიხედა და მის მოურავს ვიღაც აჩრდილები შემოეხვია, იკადრა ძურწვა, გაიქცა...

ათქვირებულ ცხენს უგზო-უკვლოდ მიაქენაბდა მამულისკენ...

ამ ხმაურზე მოსაზღვრე რაზმში განგაში ასტყდა...

— საით მივალთ, მამა? — შეეკითხა დაღლილი აზა.
— იქით, შვილო, სადაც არავინ დევნას არ დაგვიწყებს, სადაც შენნაირ პატარა ბავშვებს ბოიარს საჩუქრად არ აძლევენ...

აღმოსავლეთში ცისკარი ვარდისფრად აენტო...

ვასკომ ტყე მშვიდობით განვლო და მდინარეს მიუახლოვდა, თვალყურება დაუწყო მიდამოს, მოსაზღვრეში ხომ არსად არიანო...

— ვიღრე კარგა ინათლებს, უნდა ვისარგებლო ბინდით... — გაიფიქრა მან და ცხენი ფრთხილად მიუშვა ქალაში. აზა, საცაა მდინარეც... მისი გაცურვა — და უკვე სამშვიდობოს გავა, იქ მხიარული წითელარმიელები დახედებიან, მერე ფაბრიკაში შევა მუშად, სპილენძეულის კეთება ხომ იცის, აღზრდის აზას და იცხოვრებს თავისუფალ ქვეყანაში ბედნიერად...

ამ ფიქრებში იყო, რომ მოესმა:
— სდექ!!!

ჩასაფრებული რუმინელი ჯარისკაცები შემოეხვიენ...
ვასკომ რვეოლვერი იძრო, მაგრამ აღარ დასცალდა. რამდენიმე ცივი ხიშტი იგრძნო ტანში. ცხენი ყალყზე შესდგა. ვასკო როგორ დაეცა, აღარ ახსოვს, მხოლოდ როცა მტირალი აზა შემოეხვია და ჩასძახა:

— მამა, საყვარელო მამა!

თვალეზი გააღო, გაუღიმა, თავზე გადაუსვა, მკერდში ჩაიკრა და უთხრა:

— აზა, შვილო... იქ, მდინარის გაღმა, ყველა დაჩაგრულის სამშობლოა... და... — მეტი აღარაფერი დასცალდა, ხელი გაიშვირა გაღმისკენ და გათავდა...

— მდინარეში!!! — უბძანა ლეიტენანტმა ჯარისკაცებს.

2.

ეს ამბავი ახლა იქ მობინადრე ბოშათა შორის ლეგენდადაა გადაქციული, ყველა სწუხს ვასკოზე და აქებენ მის ვაჟკაცობას, მაგრამ ის კი აღარავისთვისაა ლეგენდა, ქალაქ კიშინიოვის ქუჩებში რომ თმაგაწეწილი შეშლილი პატარა გოგონა დადის, მათხოვრობს და გაიძახის:

— იქ, მდინარის გაღმა ჩვენი სამშობლო!..
ამ გოგოს ჰქვიან:
— აზა.
ხეზმან ერთაწმინდელი

პიონერულ შაპრაბათა მნიშვნელობა და მათი აპოყანა

მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს მოსკოვში მოხდება პირველი საკავშირო პიონერული შეკრება. ამ შეკრებას დაესწრება 6600 დელეგატი მთელი საბჭოთა კავშირის პიონერებისა და ბავშვებისაგან. შეკრება გასტანს მთელ კვირას. შეკრებაზე იქნება კონფერენცია, სასპორტო, საძხატვრო, ტექნიკური და სხვა შეჯიბრები, სამი თაობის საღამოები გამოსვლებით და დელეგატების პატაკებით, რაზმების, სკოლების საზოგადოებრივი მუშაობის გამოფენა და ექსკურსიები წარმოებებში. ამ ს გარდა პირველ დღეს მოეწყობა ალღუმი — კარნავალი, ხოლო მე-7 დღეს მასიური სეირნობა. საკავშირო შეკრების წინ ტარდება ადგილობრივი პიონერული შეკრებები.

შეკრების მოწვევა — ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბავია. მშრომელთა ყველა ბავშვისაგან არჩეული წარმომადგენლები პირველად შეიკრებიან იმიტომ, რომ გადასწყვიტონ მუშაობის საკითხები და ბავშვების მოთხოვნებიანი. ჩვენში ტარდება ხოლმე სხვადასხვაგვარი ყრილობები მოზრდილების, ახალგაზრდობის ყრილობები, მხოლოდ ბავშვების წარმომადგენელთა ყრილობა პირველად ხდება.

აგვისტოში თითქმის ერთდროულად ჩატარდება სამი შეკრება: ერთი — ინგლისში, ქალაქ ლივერპულის მახლობლად, მას აწყობენ სკაუტები (30000 ბავში), მეორე — ავსტრიაში, ქ. ვენაში — ბავშვების და ახალგაზრდების მენეჯერული შეკრება, და მესამე — მოსკოვში, — საკავშირო პიონერთა შეკრება. ცხადია, რომ პირველი ორი შეკრება ბურჟუაზიული ხასიათისაა; ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზია იბრძვის ბავშვები თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს. სკაუტებს ექნებათ რელიგიური ღვთისმსახურება, ალღუმები, პრინციპების და გოაფების მილოცვები, კონკურსები საუკეთესო სკაუტზე და მათი დაახლოვება „საქმიან ცხოვრებასთან“, უმთავრესად კომერციასთან.

სკაუტების შეკრებას ხელმძღვანელობენ ლორლები, გენერლები, კაპიტნები, პოლკოვნიკები, და ამიტომ ბურჟუაზიული გასამხედროება სათანადოდ იქნება იქ მოწყობილი. ჩვენს საკავშირო შეკრებას პროლეტარული ხასიათი აქვს. აქ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია — ნორჩი პიონერები — გაუკეთებს ჯამს სოციალისტურ აღმშენებლობაში თავის მონაწილეობას. ახალგაზრდათა კომინტერნი ატარებს საზღვარგარეთ კამპანიას, რომლის დროსაც კომკავშირელები და პიონერები გამოვლენ ლოზუნგებით: „ძირს სკაუტური და სოციალ-დემოკრატიული შეკრებები! გაუმარჯოს ს. ს. რ. კ. პიონერების შეკრებას“. საზღვარგარეთ ჰკრეფენ გზის ფულს ჩვენს შეკრებაზე საზღვარგარეთი პიონერებისა და მუშების ბავშვების გამოსაგზავნად. ამიტომ პიონერების საკავშირო შეკრებას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნება.

საბჭოთა კავშირში 6-12 წლის 30 მილიონი ბავშვა, ამ ბავშვების ყოველ ჯგუფს (მოსწავლეები, გაზეთის გამყიდველნი, უბინაო ბავშვები, მცირეწლოვანი გადიები, მენახირენი და სხვ) თავისი მოთხოვნებიანი აქვს. შეკრების დროს ჩვენ ყველგან უნდა შევკრიბოთ ეს ბავშვები, ვავიგოთ მათი საჭიროებანი და მოთხოვნებიანი და წავუყენოთ სათანადო მოთხოვნანი მოზრდილთა ორგანიზაციებს, რომ მათი დახმარებით მოვსპოთ ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ბავშვთა წრეს.

ეს დიდი მნიშვნელობის ამოცანაა და ამის შესრულება პიონერორგანიზაციას შეუკავშირელი ბავშვების ნამდვილ ხელმძღვანელად აქცევს.

მთელმა ამ მუშაობამ უნდა ასწიოს პიონერების, შეუკავშირებელი ბავშვების და პიონერორგანიზაციის პოლიტიკური აქტივობა, ფართოდ განავითაროს თვითმოქმედება და შემოქმედებითი ინიციატივა.

საბჭოთა კავშირი სოციალიზმს აშენებს. შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები; სოფლად ვითარდება კოლექტივიზაცია და ტრაქტორიზაცია. ყველგან დღეს აღმშენებლობითი მუშაობა. ამ მუშაობას ბავშვები გვერდს ვერც

აუფლიან და არც აუფლიან. პიონერულ რაზმებში ბავშვები არა მარტო მღერიან და თამაშობენ, არამედ ჩვენს რაზმები მონაწილეობას იღებდნენ მოსკოლიანობის ლაშქრობაში, ჩაატარეს კულტურული ლაშქრობა, სათანადო მონაწილეობა მიიღეს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში, რკინის ნამტვრევების და ქალაქია მაკულატურის მოგროვებაში, აწარმოებენ მუშაობას ოჯახში და საბინაო აღმშენებლობაში და აკეთებენ უამრავ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმეს.

შეკრების ერთ-ერთი საგულისხმიერო ამოცანაა — გამოვავლინოთ მთელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შემოქმედებითი მუშაობა პიონერული კოლექტივების, სკოლებისა და ბავშვების. ნაჩვენები უნდა იქნეს, უკვე როგორ ემშველებიან სოციალიზმის მშენებლობას ბავშვები და ამას გარდა დავსახოთ, თუ როგორ შეუძლიათ მათ მომავალში დახმარება.


მოზრდილებში, ახალგაზრდობაში სოციალისტური შეჯიბრი მიმდინარეობს. ამ შეჯიბრმა უნდა მოიხვეჭოს ბავშვების მას ც.

შეკრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ბავშვებისადმი მოზრდილთა მიერ ყურადღების მიქცევა. შეკრების მთელი კვირა უნდა გახდეს პიონერებისა და ბავშვებისადმი დახმარების საკავშირო კვირულად. ყველა სახელმძღვანელებრივმა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა და სხვა ორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ თავისი დამოკიდებულება პიონერული რაზმებისა და ბავშვებისადმი, გამარჯვონ, თუ რის შესრულება შეუძლიათ მათ პიონერთა მოთხოვნებთან დაკმაყოფილებს ხაზით, იფიქრონ ახალი კლუბების, მოედნების, სახელოსნოების, საბინაო ამხანაგობებში კუთხეების და სხვათა მოწყობის შესახებ. კვირულის ერთ დღეს ჩატარდება ბავშვებისადმი დახმარების მხაბათობა. ყოველმა მოზრდილმა უნდა იცოდეს შეკრების შესახებ და რეალურადაც უნდა შეუწყოს ხელი შეკრების სათანადოდ ჩატარებას. ყოველი მშრომელისაგან უნდა მოვითხოვოთ მეტი ყურადღება; იმისათვის, რომ განვამტკიცოთ დახმარება, რომელიც მივიღეთ კვირულის დროს, აუცილებელია შემოვიკრიბოთ „ბავშვთა მემობრის“ უჯრედებში წევრების ახალი ათასები.

ამას გარდა მოსკოვის მუშებმა ღირსეულად უნდა მიიღონ ჩვენს კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ბავშვების დელეგატები. შეკრების ცენტრალური შტაბის დადგენილებით, ყველა 6600 დელეგატი უნდა მოათავსონ იმ მუშების ბინებში, რომელთა შვილები პიონერებია. ყოველი მუშის ოჯახი, რომელიც დელეგატს მიიღებს, საჭიროა მზრუნველობით და სიყვარულით მოეკიდოს მას.

პიონერულ შეკრებაზე დიდი ადგილი უნდა დაიკავოს შეჯიბრებმა. შეჯიბრები კომუნისტური რაზმების საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაობაზე, შეჯიბრები ტექნიკის დარგში, სასპორტო თამაშობებში, გასამხედროებაში, დასვენებაში და სხვა, — ეს შეჯიბრები უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ორგანიზაციამ უნდა გამოგზავნოს საკავშირო შეკრებაზე რაც მათ აქვთ ყველაზე უკეთესი. ერთ ოლქში არის საუკეთესო ბავშური სახმარო ან სასულე ორკესტრი, მეორეში — ნორჩ ტექნიკოსთა ჯგუფი, მესამეში — ეროვნულ ცეკვათა შემსრულებელნი და ა. შ. ყველაფერი, რაც არის ს. ს. რ. კ. ბავშვობაში საუკეთესო, უნდა იქნეს წარდგენილი საკავშირო შეკრებაზე.

შევასრულებთ რა ყველა ამას, შეკრებამ უნდა შექმნას პირობები პიონერორგანიზაციის შემდგომი თვისარჩივი და რიცხვობრივი ზრდისა. ყოველი რაზმი და ჯგუფი უნდა ეცადოს გააფართოოს თავისი რიგები, შექმნას ახალი რაზმები და რგოლები. განსაკუთრებით აუცილებელია, რომ პიონერორგანიზაციაში მიზილდულ იქნენ ყველაზე აქტიური ბავშვები (მუშების, მოჯამაგირების და საშუალო გლეხების შვილები). შეკრების გამო პიონერორგანიზაცია სავარძნობლად უნდა გაიზარდოს და გამაგრდეს.



ჩემი გაქცევა.

(პოლონელი კომკავშირელის ნაამბობი)

გლებთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო ქალ. ლუცკის საპრობილემო ვიჯეტი.

ამ საპრობილემო ისეთი პირობები იყო, რომ უკვე მეორე წელიწადს მყოფი პატიმრები ავად ხდებოდნენ სასიკვდილოდ. საპრობილეს საკნები თითქმის მოკლებული იყო ღლის სინათლეს. კედლები — მთლად ობიანი. დაფლეთილი ლეიბება საესეა მკბენარებით. საქმელი — ნახევარი გირვანქა გამოუშრობი ცომი პური და ერთი ჯამი ამყრალებული სითხე. სულ პატარა „დანაშაულისათვის“ პატიმარს დილეგში („კარცერი“) ავდებდენ.

დილეგი — ეს არის ქვის ყუთი, სადაც მუხლამდე ლაწოაანი წუმპე, რომელშიაც დაცოცავენ ვეებერთელა მატლები.

პატიმრობის მეექვსე თვეს ჩემთვის უკვე ცხადი გახდა, რომ მე, ოცი წლის ჯანმრთელი ყმაწვილი, ერთი წლის შემდეგ ინვალიდად გადაიქცეოდი, და ამისათვის გადაწყვიტე, რაღაც გინდა დამჯდომოდა, გაქცევა.

ჩვენი საპრობილეს მმართველი ჩეხი იყო, ადამიანი, რომელიც მეტ წილად უფრო ლოთობას უნდებოდა, ვიდრე საპრობილეს საქმეებს, რომლებიც მან მთლიანად დააეალა თანაშემწეებს.

მე და ოთხი ჩემი ამხანაგი საღურგლო სახელონოში ვმუშაობდით.

საპრობილეს ეზოს მაღალ კედლებს დაგრეხილი ეკლიანი მავთული ჰქონდა შემოვლებული. კედელთან ეყარა ჯირკები, ხეები და ფიცრები, რომლებსაც ჩვენ სამუშაოდ ვიყენებდით.

ჩვენ გადაწყვიტეთ კედლის დაშლა და გაქცევა. სამუშაო პირობების გამო ორს ჩვენგანს ყოველთვის შეეძლო ორი საათით შეუმჩნეველად მიმალვა ამ დაგროვილი სატყეო მასალის უკან და ფრთხილად კედლის გაახხრა გასაძვრომად.

ორი თვე ვანგრევდით კედელს. ვმუშაობდით ასე: ორ-ორი რიგ-რიგობით ვთხრიდით კედელს, ერთი კი ამ დროს უთვალთვალედა გუშავს.

ბოლოს მაინც გავანგრეთ კედელი, მხოლოდ ისე, რომ გარედან რჩებოდა წვრილი კირიანი ფენა.

გაქცევა 21 მაისისათვის დაგნიშნეთ.

ამ დღეს მე ორი ამხანაგით ვმუშაობდით სახელოსნოში, რომელიც საკანიდან ცოტა მოშორებით იყო, ორი კი ასალაშინებდა ფიცრებს, რომლებიც კედლიდან 10 მეტრით იყო დაშორებული.

გადაწყვიტეთ დღის სრულ ორ საათზე გავქცეულიყავით.

შვიდი წუთი აკლდა ვადას, რომ მომესმა გუშავის ყვირილი:

— ეი, შენ!.. მოიტა შეშა!..

შეშა კედლიდან ორმოცდაათ მეტრზეა დაშორებული. ორმოცდაათი მეტრით მაშორებენ ვადასახტომ თაროს, სადაც ხმაურობით ცვივა კირის ფენები, და მაშინ მე აღარ შემეძლება გაქცევა.

სულ ახლო, ჩემგან სამ ნაბიჯზე შეჩერდა ყარაული ვურთიგებ პატამრებს შეშას. ვხედავ: მიდის ერთი ამხანაგა, რომელიც კედელთან ფიცრებს ასალაშინებდა, მიჰყვები მას მკორე, მესამე..

ვილაცა ზარს რეკს ციხის კართან. გუშავი მიდის იქითკენ.

დაგროვილი ფიცრების უკან ხმაურობით ცვივა კირი.

ყური შეშას და მოუთმენლად მივისწრაფი ხერე-ლისაკენ.

— სა-ად? სად?...

უჩნიდან მესმის გუშავის ხმა. ვახტები ფიცრებს, ვბორძიკდები და ვვარდები..

„ჩქარა, ჩქარა!“ — მესმის ხმები.

წვრილი ბილიკი იკლავება გორაზე მდინარე სტირისაკენ.

მე უკვე შარავზაზე ვარ, მომდევს ცხენოსანი პოლიცია, თავზე ზუილით გადადის ტყვიები.

სროლა ვაისმის მარჯვნივ, მარცხნივ, უკანიდან. პოლიციელები მეწვევიან.

ზუა ერთია — სტირი. და მე ვვარდები წყალში. მივცურავ, ვიკრებ მთელ ძალ-ლოხეს და გავდივარ მეორე ნაპირას. მივბრვივარ მიჯნაზე, ვვარდები ყანებში და მივცოცავ.

ერთი საათის შემდეგ მივალწვი გვამრებს, და დაეწვი შიგ. ველოდები..

ჩამოლაშდა, ცივა.

სოფლელ პიონერს.

ვიცი, კვლავ გახსოვს სოფლელ პიონერს სოფლად ყოფნის დროს ჩემი ნორჩობა; ქალაქად წამსვლელს მენანებოდა ტყე-ველი, მთანი მწვეანქოჩოროა.

ვიყავით ცელქნი, მოუსვენარი, დაეჭროდით ერთად. როგორცა ტყვია, წყაროს ლუკლუკი გვაჯადოებდა, არ ვშორდებოდით გარემოს ტყიანს.

შემრჩა ხალისი მოზარდ პიონერს, ძლა მაქვს უკვე ბრძოლის და შრომის. მე, პროლეტარი, როგორც მრავალი, ვარ ჯარისკაცი მშრომელთა შორის.

აღმშენებლობის განადგურებას მტერი გულღვარძლი თუ შეეცდება; ნორჩ ლენინელთა ძალა, მხნეობა ბრძოლის ქარცეცხლში გაასკეცდება. შრომის სამყაროს თუ მოაწყდება ქვეყნის მძარცველთა შავი ბანდები, ცეცხლის მათხვეველად აღიმართება ნორჩ მეომართა ბარიკადები.

ვდგავართ რიგებში ლენინურ რწმენით, ლტოლვილთა შვილნი, მძლე ნების მქონნი, მზად ვართ ყოველ წამს ნორჩი თაობა, თუ რომ მოგვესმა განგაში ბრძოლის.

ჩვენ, ლენინელებს, გვიყვარს ხალისი, ვართ შეუდრეკი და დაუპყარი მილიონიან მებრძოლთა გულში ძია ლენინის ანდერძი ჰყავის.

გრიგოლ იკოშვილი.

ვლდები და ჩქარა მივდივარ წინ. ვიწვი, მხოლოდ დალილობას კი ვერა ვგრძნობ. ვიცი, პატარა ტყის იქით სოფელია.

რომ მივალწიო იქამდე, საჭიროა კიდევ გავცურო სტირში. ტანს ვიხდი, ტანისამოსს ქამარი გადავუჭირე, ვიმაგრებ კისერზე და შევდივარ წყალში. კბილები ძაგ-ძაგებს სიცივისაგან.

მე ვიძირები, ვიღრჩობი. მოვიკრიბე უკანასკნელი ძალ-ლონე, მოვიგლიჯე ქამარი ტანისამოსით და მივცურავ ნაპირისაკენ.

მთლად ტიტველი ვარ. არაფრის გაკეთება არ შემიძლია, და ამ სახით მივდივარ ტყესთან, სოფლისაკენ.

დიდხანს ვაკაკუნე ამ სოფლის ერთ-ერთი ქოხის ფანჯარა. კაკუნზე გამოდის ნამძინარევი გლეხი. როგორც კი დაშინახა ტიტველი ადამიანი, მან უცებ მოკეტა კარი.

— კეთილო ადამიანო,— ვჩურჩულე.—ნუ გეშინია ჩემი, გააღე კარი!..

— ვინა ხარ?

— ციხიდან ვარ გამოქცეული. პოლიტიკური ვარ. ჩვარი მაინც მომეცი როგორმე.

გამოიტანა დაფლეთილი ტანსაცმელი, ქილით რძე და ნატეხი პური. ჩავიცვი მოხეტიალესავით, პური ერთ ლუკმად გადავყლაპე და რძეც გამოვცალე.

— ახლა წადი, კეთილო ადამიანო. აქ უთვალავი ჟანდარმია, — გასაფრთხილებლად მიიხრა გლეხმა. — დაგიტერენ.

რიჟრაჟია. წვიმა წამოვიდა. ტანსაცმელი მთლად ერთიანად დამისველდა, ფეხები გამისივდა. დალილობისაგან მეძინება. გავეშურე ყანისაკენ და შევეძვერი ჩალაში. ვწევარ და უცებ მესმის ვილაცის ფეხის ხმა. ცოტა გამოვიწვიე, ვხედავ, — ჩალას გლეხი უახლოვდება.

მე ავდექი და გამოვედი. მატანტალის დანახვაზე გლეხი შეშინდა. მე დავამშვიდე იგი, ვუამბე ჩემი ისტორია. მის სახეზე ლომილმა გადაიბრინა.

— აი რა ყოფილა!.. მე ვფაქრობდი, რომ შენ ავი ადამიანი ხარ, და შენ კი პოლიტიკური ყოფილხარ.

ჩემი ვაჟი 1922 წელს პოლონელებმა დახვრიტეს. ისიც პოლიტიკური იყო... მომიცადე. პური გშია? შედი ისევ ჩალაში, მე ახლავე მოვალ...

მოხუცი საჩქაროდ გაიქცა ოჯახში და მალე დაბრუნდა თავისი დედაბრით. მან მოიტანა ნაჭერი პური და ხორცი.

— გამოცხადებული ჩვენი გრიცკოა,— სთქვა მან და დაიწყო ტირილი.

მე მსუნაგავით ვჭამდი, ვუპასუხებდი შეკითხვებზე, და შემდეგ მოვთხოვე მოხუცებულებს სხვა ტანისამოსი. მოხუცი ჩაფიქრდა და სთქვა:

— ჰო, შენ მართალი ხარ. ასეთ კონკრეტში უფრო ადვილად დაგიტერენ. თუმცა გაგვეტურდეს, მაგრამ ასეთი ადამიანისათვის რაღაცას მოგნახავთ.

— გრიცკინოსი შეიძლება მივცეთ — სთქვა დედაბერმა და ატირდა.

უკვე ხუთი დღეა, რაც მიჯნებსა და ყანებზე მივდივარ. გულმოდგინედ ვათვალისწინებ სოფლებს და მიდამოებს. სიცხისა, სიმშლიისა და აუტანელი წყურვილისაგან ლონე მეღვება. ტანი იწვის. თვლებში ფერადი რგოლები მიმოდის.

მივალწვი პატარა ტყემდე. აქედან საბჭოთა საზღვრამდე 16 კილომეტრია.

ზევით, მალლობზე, ალუბლიან ბალში, ლამაზი თეთრი სახლია.

დამშვიდებული ვალებ კიშკარს, შევდივარ. შემოვტრიალდი: ფურგონში ზის ჯარისკაცი, მის იქით მარჯვნივ თოფს სწმენდს ჟანდარმი.

— დაწყევლილები!..

სწრაფად მივხვდი, რომ „პლატუეკაში“ (პოლონეთის საზღვრის სადარაჯო) მოხვდი, და გავიქეცი.

ჟანდარმმა, რომელმაც ჩემის ჩაცმა ველარ მოასწრო, იძრო რევოლვერი და გამოიქცა ჩემსკენ. მას უკან ჯარისკაცი მოსდევდა. მაგრამ შიშის შეგნებამ დიადი ძალა მომცა, რომელმაც კიდევ ერთხელ დამიხსნა.

ტყიდან ბუჩქნარებში გასვლისას დავინახე ახალი „პლატუეკა“, სწრაფად წაველ მარჯვნივ; ჩემგან 6 მეტრის მოშორებით ბავშვები ჰკრეფდნენ სოკოს.

— ბავშვებო,— ვეკითხები,— არ იცით, სად არის აქ საზღვარი?

— თქვენ, ძია, უკვე საზღვარზე ხართ

— მაშ მე თავისუფალი ვარ!.. გამარჯობა, დიდებულო მიწავ!..

გ. ა — ძე.

ზ ლ ა ტ ა ლ ი ლ ი ნ ა

28 მაისს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საბავშო ლიტერატურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და რუსული ჟურნალის „წიგნი ბავშვებს“ რედაქტორი ამხ. ზლატა ლილინა.

რევოლუციონური ბრძოლის დიდი გზა გაიარა მან. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თავისი ენერგია და თავდადება მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს და ბოლშევიკურ პარტიას მოახმარა. ყოველგვარ მუშაობას, რასაც კი პარტია ავალბდა ამხ. ლილინას, ის წარმატებით ასრულებდა.


ოქტომბრის რევოლუციიდან ლილინა გადადის საგანმანათლებლო მუშაობაზე, კერძოდ კი მუშაობს საბავშო მწერლობის დარგში; ამხ. ზლატა ფართედ შლის თავის პედაგოგიურ ნიჭს, წერს მთელ რიგ წიგნებს ბავშვებისათვის, რედაქციას უკეთებს უამრავ წიგნს სახელგამში და ლენინგრადიდან მოსკოვში გადადის, სადაც მისთვის ნიშნული მუყაითობით და ენტუზიაზმით რუსეთის განსახკომში მუშაობდა.

1924 წელს მის მიერ შეკრებილ იქნა ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის საბავშო განყოფილებასთან საუკეთესო ძალები, და ამით მან საფუძველი ჩაუყარა საბავშო წიგნის მასიური გამოცემის საქმეს.

1927 წ. ზ. ლილინა განსახკომთან ჰქმნის საბავშო წიგნის კოპისის, რამაც ძალზე შეუწყო ხელი საბავშო წიგნის და პიონერული ლიტერატურის გაუმჯობესებას, მასიურ გამოცემასა და გავრცელებას.

ლილინა პარტიის მიზანს: ადვანრდოთ ჩვენი ბავშვებიდან ხოციალიზმისათვის მებრძოლნი და სოციალიზმის ერთგული მშენებელნი, საუკეთესოდ და იშვიათი სიყვარულით ასრულებდა.

ახალგაზრდა წითელარმიელების განაყოფი.



1936 წელს დაბადებულნი ზარბაზნებთან ვარჯიშობენ ბანაკში.

ბანაკი — ტილოს ქალაქი.

თითქოს მიწიდან ამოვიდა ეს ტილოს ბინების ქალაქი. რამდენიმე თვის წინ აქ არაფერი არ იყო, ახლა კი, საითაც გაიხედავ, ლურჯი ცისაკენ ამართულა კარავის ვიწრო თავი, და ქარი არხვეს წითელ დროშებს, მოჩანს ხალხი, ჯანმრთელი ხალხი, მზისაგან ბრინჯაოს ფერი რომ დასდებია.

ბანაკი — ქალაქია. ზე არის ქუჩები, შესახვევები, მოედნები. აი „მთავარი“ ქუჩა, რომლის გასწვრივ ჩამწყრივებულა მე-4, მე-5 და მე-6 ლეგიონის კარვები; უფრო იქით კი არის „შესახვევები“ — არტილერიის ტები, კავშირგაბმულობა, მესანგრენი; შუაგულშია მოედანი, სადაც აქა-იქ მოჩანს ბალის ხილი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ დაბანაკდნენ კარვების ქალაქის მცხოვრებნი, მაგრამ უკვე საგებით შეეთვისნენ ახალ სამხედრო ცხოვრებას. ტერიტორიალური დივიზიის ახალ ბანაკში აბარებენ ისინი პირველ გამოცდას წითელი არმიის მებრძოლის, საბჭოთა ქვეყნის დამცველის სახელწოდებაზე.

სწავლა, სწავლა და სწავლა.

ბანაკს სძინავს. თითქოს ყველაფერი მომკვდარა, ისეთი სიჩუმეა ირგვლივ, მხოლოდ გუშაგის ფეხის ხმა და ხანგამოშვებითი შეძახილი „ვინ მოდი?“ არღვევს სიჩუმეს. მაგრამ აი, გათენდა, გაისმა ადგომის შტანგი, და ბანაკმა სახე შეიცვალა.

როგორც ჭიანჭველები თავისი ბუდიდან, ისე გამოკვივდნენ ახალგაზრდები კარვებიდან; ისინი არ უცდიან ნაჩვევ ბრძანებას, და როდესაც გაისმის მეთაურთა ხმა: — პირველი, მეორე, მესამე ოცეული... მო-ე-წყე! — ყველა თავ-თავის ადგილასაა.

მწყობრი ნაბიჯით დადიან, სირბილი, თავისუფალი მოძრაობა ტანს სიმჩატესა და ძალ-ღონეს ჰმატებს. პირს დაიბანენ, კარვებს მიალაგებენ, დილის საუზმეს უცბად ხარბად შესჭამენ, და იწყება სწავლა.

„სწავლა, სწავლა და სწავლა...“ — ლენინის ეს სიტყვები საბანაკო ლოზუნგად იქცა. გიკვირს, გაცოცხებს, რა ძლიერ სწყურიათ სწავლა ტერიტორიალური დივიზიის მებრძოლთ! სამწყობრო მუშაობა, ტაქტიკა, იარაღის ხმარების ცოდნა, საომარ პირობებში გარკვევა, კავშირის ყველა საშუალების ცოდნა, ტოპოგრაფია, წითელი არმიის აღნაგობა, პოლიტმუშაობა, — აი რას აკეთებენ, აი რას სწავლობენ ახალგაზრდები.

— ეჰ, ნეტავი დღე უფრო დიდი იყოს, — ამბობენ ისინი, — დრო არა გეყოფნის, რომ ყველაფერი გავიგოთ, ყველაფერს ჩვეუკირდეთ, კულტურული, მცოდნე მებრძოლი გავხდეთ.

ეს სიტყვები ყველაფერს ამბობს. აი ის განსხვავება, რომელიც არსებობს შეფის არმიის „ცხოველსა“ და საბჭოთა ქვეყნის წითელარმიელს შორის.

სწავლის შემდეგ.

დილას, რომ დაასრულებენ სწავლას და მსუქან წვესა და ქაშს შეექცივიან, — მებრძოლნი შემდეგ ისვენებენ. როგორც სანატორიუმს, ბანაკსაც ყოველდღე აქვს თავისი „მკვდარი საათი“, როდესაც ყველა მის მცხოვრები ვალდებულია დაისვენოს.

როდესაც დაისვენებენ და ძალ-ღონეს კვლავ მოიკარებენ, კვლავ ახმაურდება ბანაკი, კვლავ დღეს ახალგაზრდული სიცოცხლე. ერთ კარავში კედლის გაზეთს აკეთებენ, მეორეში პიესის რეპეტიციაა, მესამეში ხმამალა კითხულობენ გაზეთს.


სოციალისტური შეჯიბრი ბანაკსაც შეეხო. აქ კარვები ეჯიბრებიან ერთმანეთს, თუ რომელი მათგანი იქნება ყველაზე უკეთ მოწყობილი, რომელი მათგანის მცხოვრებნი გამოიჩინენ მეტ კულტუროსნობას, თავის დროზე გამოცხადდებიან სამეცადინოდ და უკეთ ისწავლიან.

და უკვე ჩანს ამ შეჯიბრის პირველი ნაყოფი.

სალამოს, როდესაც მზე სამაურად მოაოქროვებს კარვების ტილოებს, ბანაკში გაისმის სალამურისა და გარმონის ხმა, ისმის გუნდური სიმღერები. ბანაკის ცენტრში, ეკრანის თეთრ კვადრატზე ამოძრავდება კინოფილმის კადრები, და ხანგამოშვებით მოისმის მყუდრებელ წითელარმიელთა ხმები.

ხანდახან ბანაკში მოდიან ახლომახლო სოფლების გლეხები. მაშინ იწყება აურაცხელი კითხვა, შეგობრული ბასი, მებრძოლთა დაკავშირება გლეხობასთან.

უქველად იშოვნეთ დრო და ესტუმრეთ ზაფხულის სა-



პოლიტსაათი.



გლეხებთან დაკავშირება.

მი თვით წითელი არმიის მებრძოლთა რიგებში გაწვეულ ახალგაზრდებს. ავჭალის ბანაკში ნახავთ, როგორ იცვლებიან ახალგაზრდები ბანაკის ჯანმრთელი რეჟიმის წყალობით, როგორ იბრძმელება მშრომელთა არმიის ახალი ცვლა.

ედ. შმერლინგი.

კ მ რ ა *

მამოთხე ეპიზოდები

ტაძრის ფსალდი, ჯვარცმით, ტაძარი ზარბაზნის ყუმბარებისაგან ალაგ-ალაგ შენგრეულია. სამრეკლოს გუმბათი მოგლეჯილია, ყველაფერს სამოქალაქო ომის დალი აზის. თეთრების შტაბის ბარგი, სკივრი საქმეებით, მაგადა და სხვა.

ადიუტანტი, მიტრიჩი და პლიოვკინი.

ადიუტანტი. ძალიან კი შეგვაფუცხუნეს იმ არამზადებმა. რომ იტყვიან, კოვჩი ნაცარში ჩაუვარდაო, სწორედ ჩვენზეა ნათქვამი... (აღელვებულია) კანცელარია მოაწესრიგეთ, მე პოლკოვნიკთან ვიქნები... (გადის).

მიტრიჩი. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ!
პლიოვკინი. მიტრიჩ, აქ რომ შტაბი დავაბანაკოთ, საშიში არ არის?

მიტრიჩი. ცხადია, საშიშია, თუ გუშინდელივით მოგვცხეს იმ წყეულებმა.

პლიოვკინი. მარტო ეგ ხომ არის, მე იმას გეკითხები, ამ ტაძარში რომ შტაბი დავაბანაკოთ, ღმერთი და ხატები ხომ არ გაგვიწყრება მეთქი?

მიტრიჩი. რა სულელი ხარ, აბა სად გაგიგონია, რომ ღმერთი და ხატები თავის თავყვანისმცემლებს უწყრებოდა! ღმერთი წითლებზე არის განრისხებული... ეჰ, მე დღესაც არ მოველი სიკეთეს... (გაიხედ-გამოიხედავს) ჩვენი ოფიცრები გუშინ შეშინებულ მწყრებსაგვით დაფრთხენ, პოზიცია უცებ მიატოვეს... (ისმის საყვირი). შეკრების საყვირია... გავიგოთ, რა ამბავია. (გადიან)

იმვარავნი და გიალო.

(ტაძრის ნანგრევებში გამოჩნდებიან, შემდეგ გამოძვრებიან)

გივარგი. კარგად დავათვალეოთ, თვალი არავინ შეგვასწოროს...

გიალო. ნეტავ სად ექნებათ შენახული ის ქალაქები?

გივარგი. ახლა არავითარი ქალაქები საჭირო აღარ არის.

გიალო. მაშ აქ რა გვინდა, ეს ადგილი ხომ ჩვენთვის სახაფათოა.

გივარგი. სახიფათო აღარაფერია. თეთრები გარს შემოტყეპული არიან, ყოველ მხარეს ჩვენები არიან.

გიალო. მაშ რათა ვართ აქ?

გივარგი. ჩემს შვილს დავეძებ, გიალო, ჩემს გოჩას; მე გადმომცეს, რომ გუშინ ბარიკადებზე ისიც ყოფილა... თეთრების უკან დახვევის დროს იმ არეულობაში ვეღარ უნახავთ საით წასულა. მე ვიფიქრე, იქნებ ტყვედ ჩავარდა მეთქი.

გიალო. თუ კი ეგრეა, რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

გივარგი. გაღმა მხარეს კი მას ძია დათო დაეძებს. გიალო, იმას რომ რამე აუტეხონ იმ წყეულებმა, ჩემს შურისძიებას საზღვარი არ ექნება (მოსიშის ხმაურობა). რალაც ყაყანია, მივიმალოთ. (იმალებიან. სკივრის სახურავი მძიმედ იხდება, საიდნანაც თავს ამოჰყოფს გოჩა, მერე ფრთხილად ამოძვრება, მიათვალ-მოათვალეობს, ამოჰკრებს ქალაქებს, საქმეებს, დაჩქარებით ჰხევის. გამოჩნდებიან გივარგი და გიალო, რომლებიც ჯერ ვერ იცნობენ, მიეპარებიან და დაიჭერენ. კულისებში ყაყანი გრძელდება).

გივარგი. აი, შე...
გიალო. აი, შე პატარა კონტრეგოლუციონერო!..
გოჩა. (იცნობს). მამა, მამა!

გივარგი. გოჩა, ჩემო პატარავ! (აღერსი)
გიალო. ბიჭოს, მალე აღმოჩნდა!

გივარგი. მითხარი, როგორ გაჩნდი ამ სკივრში?
გოჩა. პირველი შეტევის დროს, როგორც კი თეთრებმა მოქუსლეს, იმ არეულობაში როგორღაც ავცდი ჩვენებს და, რომ ხელში არ ჩავვარდნოდი მტერს, შტაბის ურემს მალევე ავედევნე და ბოლოს ამ სკივრში ჩავევრი... მაგათი პოლკოვნიკი სულ რალაც რუკაზე ელაპარაკებოდა ოფიცერს. კარგად შეინახეთ, წითლებს არ ჩაუგდოთო. მეც მივდექი და ყველაფერი დავხიე... (ხმაურობა გაძლიერდა)

გიალო. აქეთ მოდიან, გზას გავუღვებ... (გაიხედ-გამოიხედავენ)

გივარგი. გზა არსად არის, შეგვამჩნევენ... დავიმალოთ და, თუ წამოგვაწყდენ, მაშინვე თოფი!.. (იმალებიან. გოჩა ისევ სკივრში ჩაძვრება)

ბუჩკაძე, ადიუტანტი, მიტრიჩი და პლიოვკინი.

ბუჩკაძე. დილა, ბ-ნო პორუჩიკ, ჩვენ უნდა შევიხიზნოთ. ისინი, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი თანამოაზრენი არიან. განსაცდელში იმყოფებიან და, თუ ჩვენი კალთა არ გადავაფარეთ, დაილუპებიან.

ადიუტანტი. მართალსა ბრძანებთ, ბ-ნო პოლკოვნიკო. ამ-სთან, მე ვფიქრობ, გამოგვადგებიან კიდევ შტაბის რაზმისათვის.

ბუჩკაძე. რასაკვირველია. მაშ ახლავე მოგვარეთ ფორმალურად, რომ ვიცოდეთ მათი ვინაობა, გვარები... პორუჩიკო, მომისმინეთ. მე ვხედავ, რომ ჩვენი საქმე ჯერჯერობით ვერ მიდასკარგად. ჩვენი ჯარისკაცები ასობით გადადიან რევოლუციონერებისაკენ.

ადიუტანტი. მეტად სამწუხაროა, ბ-ნო პოლკოვნიკ!
ბუჩკაძე. ამიტომ გადავწყვიტე, მე თვითონ წარვუძღვე ჯარს და იმედიც მაქვს, რომ დღეს საღამოსვე სასტიკად დავამარცხებ წითლებს... შტაბს ყველა საქმით და მთელი შემადგენლობით თქვენ განდობთ.

ადიუტანტი. მოხარული ვარ, ბ-ნო პოლკოვნიკო!
ბუჩკაძე. ახლა კი შეუდექით ჩვენი ლტოლვილების გვარების ჩაწერას. საგუშაგოები გააძლიერეთ, მეც ახლავე დავბრუნდები. (გადის)

ადიუტანტი. მესმის, ბ-ნო პოლკოვნიკ!.. მიტრიჩ, წადი და პირადად შენ გააძლიერე საგუშაგოები, სხვას არ ენდო.

მიტრიჩი. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! (გადის)

ადიუტანტი. პლიოვკინ, შენ კი ლტოლვილები შემოიყვანე. ჩვენ ახლა მათ გვარებს ჩავიწერთ და შემდგომ ჩვენთანვე უნდა იმსახურონ.

პლიოვკინი. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! (გადის)

შემოდინან: პლიოვკინი, ჩახზაზურ, ჯიპურტა, თაგადაძე, ივანე და ჩამდენივე ლიპიანი ჩოხოსანი.

ადიუტანტი (ჩახზაზურს). თქვენი გვარი და სახელი?
ჩახზაზურ. მინავათ, ვაში ბლადოროდია, მე მეკითხებით!

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 10-11-12.



ადიუტანტი. დიად, თქვენ გეკითხებით.

ჩახბაზურ. (იგონებს). მე... ჩემმა მზემ, დამავიწყდა... ისა... (მოიგონა) მაღლობა ღმერთს, მოვიგონე. ჩახბაზურ ჯანჯულაზოვი!..

ადიუტანტი (ჩასწერა). თოდის ხმარება იცი?

ჩახბაზურ. რასა ბრძანებთ, თავის დღეში „პუგაჩის“ მეტი არაფერი გამისროლია.

ადიუტანტი. მაშ, ჰაეროპლანიდან რომ ყუმბარები ჩამოჰყაროთ, ეგ ხომ ძნელი არ იქნება?

ჩახბაზურ. ვა, რა ხუმარა ბრძანებულხართ, თქვე დალოცვილო, დედამიწაზე ბაყაყივით დავბობდავ და ჰაეროპლანში რომ ჩავჯდე, ხომ „სკორი პომოში“ დამჭირდა.

ადიუტანტი. ხუმრობისათვის არა გვცალია. მაშ რა შეგიძლიათ?

ჩახბაზურ. მე... აი, თუ გნებავთ კართოფილს დაგიფცქენით, ბრინჯს დაგიჩვენებთ ხოლმე.

ადიუტანტი (წკიპურტას). თქვენი გვარი და სახელი?

წკიპურტა. წკიპურტ მამბეზარაძე, მე ცნობების მიწოდებაში დახელოვნებული ვარ.

ადიუტანტი. თქვენი?

თავადაძე. კვინტრიში თავადაძე, თქვენო კეთილშობილებავ!.. მე იმედი მაქვს, თქვენ ანგარიშს გაუწყვეთ ჩემს წოდებას და დამტოვებთ თქვენს წრეში, ოფიცრების მფარველობის ქვეშ.

ადიუტანტი (ივანეს). თქვენი გვარი?

ივანე. ივანე როხროხისძე ქრთამიაშვილი.

ჩახბაზურ. ვაში ბლალოროდია, ეგ კაცი ქრთამის აღებაში ბლალოროდნი ჩინოვნიკს არ ჩამოუვარდება.

ადიუტანტი. თქვენ იდარაჯებთ შტაბთან. (წერს).

ივანე. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ. ოჰ, ჩახბაზურ!

ჩახბაზურ. რა, ჩახბაზურ, გაგიტყბა ჩემი თუმნიანები?! (დანარჩენების გვარებს იწერს პლიოვკინი)

ადიუტანტი. ახლა გთხოვთ მოგვცეთ ფიცი, რომ ერთგულად ემსახურებით და არ უღალატებთ ჩვენს ლენერალს, რომელიც იმედოვნებს, რომ გამარჯვების შემდეგ აუცილებლად გვეყოლება მეფე. (ყველას სახე გაუბრწყინდება)

ჩახბაზურ. ვა, მართლა, ნეტავ ვინ იქნება?

ადიუტანტი. აი, თქვენს წინაშე ჯვარცმა, გთხოვთ მუხლი მოუყაროთ, ემთხვიოთ და წარმოსთქვათ: „ფიცსა ვდებთ, რომ არ გიღალატოთ“.

თავადაძე. ფიცსა ვდებ, რომ არ გიღალატოთ! (როდესაც ემთხვევა, ტაძრიდან გამოყოფილი ხელი გაიღოსი ქუდს გადაუგდებს). ოო, ეტყობა, ქარი ამოვარდება.

წკიპურტა. ფიცსა ვდებ, რომ არ გიღალატოთ (ემთხვევა, ამასაც ქუდი გადაუგდეს), მართალია, ქარი ქრის!

ივანე. ფიცსა ვდებ, რომ არ გიღალატოთ! (ემთხვევა, ამას თავში ჩაარტყეს.) ეჰეი, ტაძარი ხომ არ ინგრევა?!

ჩახბაზურ (მივა ჯვარცმასთან) ვაში ბლალოროდია, ერთი ეს მიბრძანეთ, ეს ტაძარი სომხების არ არის, მე კი სომხები განლაგართ და ამ ფიცის დადებას ვითომ ძალა ექნება?

ადიუტანტი. თქვენ სულ ხუმრობთ. მორჩით მალე, სადაც არის პოლკოვნიკი მობრძანდება.

ჩახბაზურ. ისტინი კრესტ, არა ვხუმრობ. მე მეშინია ხრისტუსი არ გამირისხდეს... მე, ჩახბაზურ ჯანჯულაზოვი, ფიცსა ვდებ, რომ ლაზთიანად ვიმსახურო და არ გიღალატოთ. (ემთხვევა,

ამას კი ფეხი ჰკრეს) ვაიმე, გითხარით რაღაც ხრისტუსი გამირისხდება მეტქი! ვაი...
ბ უ რ ვ ა კ ა ძ ე .

ბურვაკაძე. პორუჩიკ, თქვენ მორჩით ყველაფერს?

ადიუტანტი. დიად, ბ-ნო პოლკოვნიკ!

ბურვაკაძე. გთხოვთ მომცეთ ბრძოლის რაიონის რუკა, მე გასალაშქრებლად უკვე მზად ვარ.

ადიუტანტი. პლიოვკინ, მარდად, მიტრიჩს დაუძახე.

პლიოვკინი. მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! (გარბის)

ბურვაკაძე (პათოსით). ძმებო, მისმინეთ! მართალია, ჩვენი საქმე ღღემდე ვერ მიდიოდა კარგად სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზის გამო, მაგრამ დღეს, როდესაც მე ვიკისრე მთავარსარდლობა, დარწმუნებული იყავით, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება და ძალიან მალეც. მე, ძველს სარდალს მეფის მხედრობისას, არაფრად მილირს მიწასთან გავასწორო აჯანყებულთა ბანდები და... (შემობრბის მიტრიჩი და პლიოვკინი)

მიტრიჩი. თქვენო მაღალკეთილშობილებავ! გუშაგები გაქცეულან, არცერთი აღარ დგას სადარაჯოზე, აქეთ აუარებელი ხალხი მოემართება კიჟინით და ვაშას ძახილით... (ყველანი შეშფოთდებიან)

ბურვაკაძე (მედიდურად) შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, მომართვი ბრძოლის რუკა!

მიტრიჩი | მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!
პლიოვკინი | (მიბრბენენ სკივრთან, ახლიან, — უცებ ამოხტება გოჩა. საერთო განცვიფრება).

ყველანი. ეს რას ნიშნავს? ეს ვილაა?

ბურვაკაძე. შეიპყარით, შეიპყარით! (მიტრიჩი და პლიოვკინი შეიპყრობენ)

გოჩა. ნუ სწუხდებით, მე არსად გავიქცევი... პოლკოვნიკო, თქვენ მგონი რუკა გნებავთ?.. მე არ ვიცილოდი, რომელი იყო ის რუკა და ამიტომ ყველა ქალაქი ერთნაირად დავხიე.

პოლკოვნი. დაკითხვა მოკლედ და მაშინვე დახვრეტა... ჩასწერეთ! (გოჩას) შენი ვინაობა... არ გესმის, ვინა ხარ, შენი გვარი და სახელი?

გოჩა. მე მე ვარ.

ბურვაკაძე. მაინც ვინა ბრძანდები?

გოჩა. ვინც შარშან ვიყავი!

ჩახბაზურ. ვა, პოლკოვნიკი ხომ გულთმისანი არ არის, რომ ეგრე გაიგოს ვინა ხარ?

პოლკოვნი. მაშ არა გნებავს სთქვა? ძალიან კარგი, მე გიჩვენებ სერის! ჩასწერეთ!.. (აჯანყებულების ხმაური ახლოვდება)

ბურვაკაძე. დახვრიტეთ, ამ წუთს დახვრიტეთ!

ადიუტანტი (იძრობს რევოლვერს). მესმის, ბ-ნო პოლკოვნიკ! (გოჩა ადიუტანტს ქალაქდებს მიაყრის სახეში)

გიგარგი | (გადმოუხტებიან) აი, თქვე წყეულებო! შეს-
გიალო | დექით!

ყველანი. ვაი! (ყოველი მხრიდან გამარჯვებული აჯანყებულები შემოდიან: გლეხები, დედაკაცები, ბავშვები; საერთო აღფრთოვანება).

დათო. (შემობრბის ერთ ჯგუფთან). სად არის გოჩა, გოჩა სად არის?.. გუშინ პირველმა მან გვაცნობა მტრის მოახლოვება!..

გოჩა. მეც აქ გახლავარ, ძია დათო!

ყველანი. ვაშა გოჩას, ვაშა, ვაშა (ისერიან ჰაერში).

გ. კობელი (კობახიძე).

მთხარე მაყუბეზაღთა თეატრი

მანსოვს თეატრის დაარსების პირველი დღეები. მე აღვსილი ვაყავი სიხარულით. მიხაროდა, იმიტომ რომ ძლიერ მიყვარს ბავშობა, და ამ თეატრის ირგვლივ კი უნდა შემოკრებილიყო მთელი ტფილისის ბავშობის საუკეთესო ნაწილი. მე იმდენად მიყვარს ისინი, რომ გულკრილად ვერ ვუყურებ მათ. ძალიან ხშირად გზაში ჩემსკენ მომავალ ბავშვს ვუცქერი პირწმინდა სახეზე, გულმოდგინედ გადავარცხნილ თმებზე და ვუცინი, ისიც გაკვირვებული მიცქერის და ფიქრობს: ვინ არის, რას მიცინის?“ და როდესაც ვშორდები და ეს ღიმილი გამყვება თან, ის უკან-უკან ახედება და მასაც მიჰყვება თან პატარა უცნაური ფიქრები ძლიერი უცნობის შესახებ.

რა იცის მან, როგორ მიყვარს ის!?

პირველ დღეებში ხშირად მოდიოდნენ ჩემთან პატარა ბავშვები, წიგნებით ხელში, და ათრთოლებული ხმით მომმართავდნენ ხოლმე:

— პოლუმორდინოვი თქვენა ხართ?..

— დიაღ, პატარავ, მე ვარ, — ვუპასუხებდი ჩუმი და აღერსიანი ხმით.

შეშფოთდებოდა ხოლმე ბავში. დაიბნეოდა. იშშუშნებოდა, თვალებს ძირს დახრიდა და მეტყოდა:

— არ შეიძლება საბავშვო თეატრში მიმიღოთ?..

— შინ, პატარავ?..

— დიაღ, მე სკოლაში ხშირად მითამაშნია და...
— იცი, ჩემო კარგო, ეს თეატრი, მართალია, ბავშვიანსთვის არაა, მაგრამ მოზრდილები ითამაშებენ, შენ კიდევ წარმოდგენებს დაესწარი ხოლმე, — ვუპასუხებდი, ვუხსნიდი. შეწუხდებოდა ბავში და უსიტყვოდ გაიქცეოდა კარისკენ.

მომდიოდა წერილებიც: ნაცნობები მიგზავნიდნენ პატარებს და გამოჰხატავდნენ მათ ნიქს, უნარს, სცენისადმი სიყვარულს. მეც და თეატრის რეჟისორსაც ძლიერ გვაშფოთებდა ის, რომ საზოგადოების კარგა დიდ ნაწილს ასე ესმოდა ეს თეატრი.

აღშფოთებაში მოდიოდა თეატრის რეჟისორიც. ის თ: ვშეუკავებელი მღელვარებით მომმართავდა ხოლმე:

— რა უბედურებაა, არავითარ ზომებს არ იღებ, არ გიყვარს ეს საქმე!..

ამავსებდა სამღურავეებით, დაწყნარების შემდეგ კი ლაპარაკობდა ტკბილად, მეგობრულად. ის არის საქმაოდ მაღალი, ტანხმელი და ზურგში ოდნავ მოხრილი. ლაპარაკის დროს, რომ დაარწმუნოს მოსაუბრე თავის ნათქვამში, ალაპარაკებს ხელებს, თვალებს, წარბებს, ტუჩებს, ერთი სიტყვით, სახისა და სხეულის თითქმის ყველა ნაკვთს. ამ უკანასკნელ ხერხს მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებლად უნდა რამეში დაგაჯეროს.

რამდენი ვიწვალეთ, ვიდრე ვიშოვიდი ადგილს, რომ მოსამზადებელი მუშაობა გვეწარმოებინა. რეპეტიციები დაგვეწყო. ხან ერთ დარბაზში ვაწყობდით რეპეტიციებს და ხან მეორეში.

ხშირად მომგარდებოდა ხოლმე რეჟისორი და მომაცხებდა:

— მე ასე მუშაობა აღარ შემიძლია. თუ ხვალ მუდმივი ბინა არ გვექნება, მე ვტოვებ თეატრს.

ვამშვიდებდი, ვუთხნებოდი, რომ ხვალ ბინას მოგვეცემენ, მოდიოდა ეს „ხვალეც“, მაგრამ ჩვენ მაინც გარეთ ვიყავით, მუშაობას მაინც არ ვწყვეტდით. დილა-საღამოს გაცხარებული რეპეტიციები იყო.

ვამზადებდით მხოლოდ ორ პიესას, „ფრიც ბაუერს“ და „რობინ გულს“, ორივე რუსულიდან იყო ნათარგმნი, არცერთი ქართული პიესა არ გავგაჩნდა. საერთოდ, თეატრის რეპერტუარი ალალ-ბედზე იყო შედგენილი, რადგან აფიშებში გამოცხადებული გეჟონდა ექვსი პიესა მოგონილი სათაურებით და მათგან კი მხოლოდ სამი გავგაჩნდა. სამს კი ველოდით, გვპირდებოდნენ სხვადასხვა მწერლები, რომ დაგვიწერდნენ.

ოქტომბერი მაიწურა. უკვე დრო არის სეზონი გაიხსნას. თვე-ნახევარია მოსამზადებელი მუშაობა წარმოებდა და ჯერაც ვერ გავგებდნა სეზონის გახსნა. გადავწყვიტეთ 11 ნოემბერს, რათაც გინდა დაგეჯდომოდა, პირველი წარმოდგენა მოგვეწყო. ამ გადაწყვეტილებას მტკიცედ დავადექით. დავამზადეთ ყველაფერი, რაც კი დაწყებითი მუშაობისათვის საჭირო იყო, სახელდობრ: გაზეთებში ცნობები, რეკლამები, აფიშები, პროგრამები, სკოლებში ცნობები და მოხაროვები, მოსაწვევი ბარათები და სხვა. თერთმეტი ნოემბერიც გ თენდა.

11 ნოემბერი პირადად ჩემთვისაც იმდენად მნიშვნელოვანი და საგულისხმიერო იყო, რომ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში უფრო მეტი და ამავე დროს მრავალმხრივი განცდა არა მქონია.

სეზონი იხსნება ოპერის თეატრში.

გაფიქრებული და ნაღვლიან სახეზე ღიმილგადაკრული დავდივარ დერეფანში წარმოდგენის დაწყების ერთი საათით ადრე. დრო მირბის სწრაფად, დაუკითხავად, და მე ვგრძნობ, მესმის საკუთარი გულის ცემა, ვგრძნობ, თუ როგორ ვუახლოვდები იმ წუთს, როდესაც ფარდა უნდა აიწიოს და ამ უამრავი ხალხის, უმთავრესად ბავშობის წინაშე, წარსდგეს თეატრი მთელი თავისი შინაარსით, ნამუშევართ.

ყოველი ათეული წუთის შემდეგ ვუახლოვდებით ერთმანეთს მე და რეჟისორი, ნერვიულად ვუცქერთ ერთმანეთს და უსიტყვოდ ვლაპარაკობთ. მე მესმის, რას მეუბნება ის. მე ვგრძნობ მას მთლიანად და ალბათ ისიც ხედავდა ჩემს უსიტყვო პასუხს, ჩემს ღუმელს. ჩემზე უფრო უარესად ის მღელვარებს, მას უთრთის გული. ასეც უნდა იყოს: მისი შემოქმედება მზიურდება დღეს.

დარბაზი ბავშვებით აივსო. დერეფნები ახმაურებულია მხიარული ჟივილ-ხივილით, სირბილით, ხმამაღალი დაურიდებელი ლაპარაკით. მე დავდივარ მათ შორის და ვხედავ სხვადასხვაგვარ სახეს და ყოველ მათგანში ვხედავ სილიამახეს, რადგან საზოგადოდ ბავში ლამაზია, მათ სახეებზე დაქროლავს სიხარული, უზრუნველობა, ბედნიერება ამ წუთის მოსწრებისა და მე მგონია, რომ თითოეული მათგანის თვალეში ჩაგორებულა სიცოცხლის მზე და შადრევანივით აფრქვევს საარსებო სხივებს.

როგორ მიყვარს მე ესენი, როგორ მიხარია, რომ მეც მათში ვარ. ამ სიცოცხლის დაუსრულებელი ნაკადის სათავეში. ისინი რომ არ მოგვეყვებოდნენ ზურგში, გვეცოდინებდა, რომ ჩვენი თველაფერი თავდება, მაგრამ ეხლა მე მჯერა, რომ მოგვეყვება გაზაფხულის ფოთლების სიცილივით ბავშვების სიცოცხლე.

დავდივარ მათში და ვივსები სიხარულისა, სიყვარულისა და სიცოცხლის წყურვილის გრძობებით, მავიწყდება ჩემი მღელვარების საგანი, ვმშვიდდები და სახეზე ქეშმარიტი ღიმილი დამიქრის, ლამის ეს ღიმილი სიცილად გადამექცეს, ისე უძიროა ჩემი სიხარული.

დაჰკრეს პირველი გონკი.
პატარა-პატარა ნაკადულეზად ჩაიღვარა თითოეული კარიდან ბავშვების წყებები.

სინათლე ჩაქრა.
არეული ხმები. სკამების ჯახხუნი. ფეხის ხმა. მოუთმენელი ტაში და ამ უამრავი ხალხის სუნთქვა ერთ მთლიან მღელვარე გულის ცემად არის გადაქცეული. ჩემი მოლოდინიც უსაზღვრო და უძიროა, ჩემი გულის ცემა ამ მთლიანი გულის ცემას უდრის.

გონკი მეორედ ჩამოჰკრეს, და ოქროს ღუმელი დაეშვა და გავრცელდა მთელ დარბაზში.
სიჩუმეა, დაძაბული ყურადღება.
წამიც, და მტრედის ფრთასავით მისრიალებს ცისფერი მოთეთრო ფარდა დაიწყო წარმოდგენა „ფრიც ბაუერი“.

მოკლე შინაარსი:
„ამბავი გერმანიაში ხდება. ფრიცის მამა კარლი ერთ-ერთი ქარხნის მუშაა, რომელიც მეთაურობს იმავე ქარხნის გაფიცვებს. ჟანდარმერიას მისი დაჭრა უნდა. ქარხნის მეპატრონესთან მოლაპარაკების შემდეგ ჟანდარმი კურცი, ფულით დიდად დასაჩუქრებული, დააწყობს კარლის დაჭრის გეგმას, კარლი კი იმალება. მისი ოჯახი — ავადმყოფი ცოლი და პატარა ფრიცი — შიმშილობს. ჟანდარმ კურცს სასწავლებლიდან მიჰყავს ფრიცი ჟანდარმერიაში, ვითომ სკოლის მოწაფეებისთვის საჩუქრების საყიდლად; იქ კურცი ფრიცს წამალს ასმევს, რითაც აძინებს ბავშვს. შემდეგ ბავშვს სასაკვდილოდ აცემინებს და მისივე სახლის წინ დააგდებინებს. ჟანდარმერია ამ სასიკვდილო ცემას მისავე მამას აბრალებს და ერთხელ, როდესაც კარლი სახლში ცოლშვილის სანახავად მოვა, მეზობელი ჯაშუში ქალის დაბეზღებით იჭერენ მას. ავადმყოფი ფრიცი იცნობს აქამდე ყოველთვის გადაცემულ ჟანდარმ კურცს“.

პიესა მეტად მძიმეა. ის გულშესაზარად მოქმედობს არამც თუ ბავშვებზე, არამედ მოზრდილებზეც.

დარბაზის სხვადასხვა ადგილას მოთავსებული გყავდნენ პედაგოგები, რომელნიც ბავშვებზე მასიურსა და ინდივიდუალურ დაკვირვებებს ახდენდნენ.

ახლა კი გადავმალეთ ის საერთო სურათი, რომელიც არამც თუ ჩემს, არამედ თითოეული მასურებლის თვალწინ დაიხატა, სახელდობრ: ბავშვების გრძობათა შადრევანი. ეს ნამდვილად გრძობათა შადრევანი იყო, მხოლოდ ბუნებრივად აღმოხეთქილი გულის სიღრმიდან. წარმოდგენა მიმდინარეობს. სცენა სცვლის სცენას, და მოზარდ მასურებელთა წინაშე იშლება ახალ-ახალი სურათები.

როდესაც სცენაზე მხიარულება და ცეკვაა, თითოეული ბავში იცინის, იღიმება, მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს.

მაგრამ, აი, დადგა წუთი, როდესაც ჟანდარმმა კურცმა დამძინებელი წამალი ჩაასხა ჭიქაში, რომ იქვე მოტყუებით მოყვანილი, სათამაშოებში გართულ პატარა ფრიცს დაალევიანოს. ბრაზით და მწუხარებით აღდევებენ თვალყურს მასურებელი ბავშვები, ისინი ხვდებიან, რომ ამ საშინელ რამეს მათ საყვარელ ფრიცს უშხადებს ჟანდარმი, და ესპატარა ბავშვები უყვირიან ფრიცს;

— მოიხედე, მოიხედე!.. ფრიც, მოიხედე!.. მაგრამ რას მოიხედავს მსახიობი, რომელიც ფრიცის როლს ასრულებს, ამით ხომ მთელი პიესა შეიცვლება, სულ სხვა მიმართულებას მიიღებს და ალბათ სხვაგვარადაც გათავდება. მაშინ კი, როდესაც ჟანდარმმა ჭიქა მიწაში დააფარა, რომ დააღვინოს წამალი, როგორც რისხვა, როგორც გრგვინვა-ქუხილი, ისე გადმოიღვარა აღშფოთება და მღელვარება, და ეს პატარა ბავშვები უზარმაზარ და უძირო ტალღებად ატლამუნდნენ, ახმაურდა სკამები, სკამის სახელურებზე ეცემოდა პატარა მუშტები და ყვიროდნენ:

— არ დალიო, ფრიც!..
— არ დალიო, საწამლავია!..

მათ უნდოდათ როგორმე ეშველათ თავისი პატარა მოძმისთვის, გერმანელი ბავშვისთვის, გერმანელი მებრძოლი მუშის შვილისათვის. მაგრამ არც აქ დაუჯერა ჯიუტმა სცენამ, ფრიცმა მაინც დალია, და როდესაც ღონემიხილი დაეცა ჟანდარმის მკლავზე, მძიმე და მოტანჯული ოხვრა ამოუშვა ბავშობამ.

— საწყალი, საწყალი!.. — გაიძახოდნენ ისინი.
დაეშვა ფარდა. მოქმედება გათავდა. ბავშვები, შთაბეჭდილებით შეპყრობილნი, კარგახანს უძრავად ისხდნენ და გაშტერებულ თვალებს ფარდას არ ამორებდნენ.
ანტრაქტის დროს უფროსებს მოსვენებას არ აძლევდნენ, ნერვიულად ეკითხებოდნენ:

— რა მოუვა ფრიცს?! რა მოუვა?!
— ოჰ, ნეტავი მალე დაიწყოს!.. — გაიძახოდნენ ისინი და მოუთმენლად ელოდნენ გონგის დაკვრას.

ფარდა ისევ აიწია. ისევ ახალი მოქმედება. ნაცემი დაავადებული ფრიცი წევს ლოგინში, და მას უვლის უილაჯოდ დაედა. მოლის მამა ავადმყოფი შვილის სანახავად, ოჯახში გულშემაწუხებელი სიხარული იღვრება საყვარელი ადამიანების დიდი ხნის უსახველობის გამო.

ამ დროს შემოდის ოთახში ჯაშუში ქალი. დაინახავს კარლს და კარებიდანვე ბრუნდება. მოზარდი მასურებლები გრძობენ რაღაც არასასიამოვნოს და ლელავენ, სკამებზე ვერ ეტევიან.

გადის წუთები, და ნელი-ნელ, მომპარავად კარებში ჩნდებიან ჟანდარმები.

ბავშვები აყვირდნენ:
— გაიქეცი!.. დაიმაღე!..
— მოვიდენ, თავს უშველე, კარლ!..
— ფრიც, მამას იჭერენ!..

მაგრამ ვინ გაუგონებს მათ. ნაბიჯი მიჰყვება ნაბიჯს, და შიშველი იარაღი კი ფოლადის ტუჩებს კარლისკენ მართავს.

ჩემს გვერდით მჯდომი ერთი ბავში, რომელიც რვა წელს არ აღემატებოდა, როდესაც ჟანდარმები შემოვიდნენ, ისე ათრთოლდა, ისეთმა ურუხტელომა დაუარა ტანში, რომ მან ატირებული ხმით მიაძახა დედას:

— არ მინდა, არა, არ შემძლია ცქერა!.. და ზურგი შეაქცია, თვალები პატარა ხელებში ჩამალა და ისე გატვრენილი იჯდა. დროგამოშვებით გვეკითხებოდა იქიდან:

— გათავდა?.. გათავდა?..
მართლაც მალე გათავდა. კარლი დაიჭირეს. აწიოკებული მუშის ოჯახი დასტოვეს ჟანდარმებმა. ფარდა ჩამოეშვა.

ამ ბავშვს არ უნახა ს კარლის დაჭრა. მას მოესმა მხოლოდ ფრიცის გულშემზარავი ყვირილი, და ეს ბავში მაზედაც ათრთოლდა, აკანკალდა.

ახმაურდა დარბაზი. ტანში თითქოს კედლები განზე გასწია. რეჟისორს ულოცავენ გამარჯვებას.

მეც გავდივარ სცენაზე რეჟისორთან და ვულოცავ პირველ გამარჯვებას.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

საუზრემო მემკვიდრეობა



ეს მემკვიდრეობა

ტარიტაგი.

ტროპიკული ქვეყნების მცხოვრებლებს საშინელოდღეს აყენებენ ტერიტები, რომლებსაც „თეთრი ჭიანჭველებიც“ ჰქვიათ. ეს ბატარა ცხოველები ყოველწლიურად მრავალი მილიონი მანეთის ზარალს აძლევენ ხალხს. ვერაფერი ვერ უძლებს ტერიტებს ქვისა და რკინის მეტი. მათი ნერწყვი მიწასაც კი გასჷამსო, — ამბობენ. უმთავრესად ისინი ეტანეიან მცენარეულ საკვებს და სჭამენ ფიცრებს, ძელებს, ავეჯს, ქალოდს, მწვანეილს, ფოთოლს, არ იწუნებენ ტყავს, აბრეშუმის ნივთებსა და ხორცს, საერთოდ, ყველაფერს სჭამენ, რასაც კი მოახელებენ. უმთავრესი უბედურება ისაა, რომ ტერიტები გამანადგურებელ მუშაობას ისე ჩუმად და უხმაუროდ ეწევიან, რომ სანამ ადამიანი ეჭვს აიღებდეს ამის შესახებ, სახლის სახურავი უკვე ინგრევა. ხანდახან მკვიდრი წცხოვრები მიეყრდნობა ბოძს დასასვენებლად და უცბად წაიქცევა: თურმე ბოძი შიგნით სულ გამოუხრავთ ტერიტებს და მხოლოდ გარედან ჩანდა ის მთელი. ასევე ემართება სკამებს, რომლებზეც დიდი ხანია არავინ მჯდარა: დაღლილი ადამიანი ჯდება სკამზე და იატაკზე კი ვარდება, ვინაიდან სკამი სულ შექმულია, მაგრამ გარედან კი არ ეტყობა ეს.

ტერიტები შეუმჩნეველად შედგებიან ძელებში. ავეჯში და საშინლად ერიდებიან გარეკანის გამოჭმას; ეს საშინელი ჩვეულებაა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ამაოა. იმდენად სწრაფად ნადგურდება მათგან ყველაფერი, რომ ერთი ღამის განმავლობაში ტერიტებმა მთლად ერთიან შესჭამეს ტანისამოსის კარადა. ერთმა არაბმა თეთრი ჭიანჭველების ბინის მახლობლად დაიძინა და კარგად გაეხვია თავის ბურნუსში, მეორე დღელას კი თითქმის ტიტველს გამოივლიდა — ბურნუსი ტერიტებს შეეჭამათ.


ოსტ-ინდოეთის მთავრობის 1814 წლის ოფიციალურ ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი ფაქტი,

რომელიც მოწმობს, თუ რა საშინელებას წარმოადგენს თეთრი ჭიანჭველები: ქ. კალკუტის გუბერნატორის შესანიშნავი სასახლე ერთ დღეს დაინგრა, ვინაიდან ის შეეჭამათ ტერიტებს. წმ. ელენეს კუნძულზე ერთ-ერთი სახას ტერიტები შეჭვენ გემს და მალე ისე გამრავლდნ, რომ ამ კუნძულის დედაქალაქის ჯემსტონის უდიდესი ნაწილი მოსპეს. პლანტაციებსაც საშინელი დღე ადგია მათგან; ოსტ-ინდოეთის პლანტატორებმა 100000 მარკა დაუნიშნეს ჯილდოდ იმას, ვინც გამოიგონებს მათ მოსასპობ წამალს, მაგრამ ამაოდ.

რამდენადაც საზარალო და საშინელი არიან ტერიტები, იმდენადვე საინტერესოც არიან, ვინაიდან მათი თემური და სახელმწიფოებრივი ცხოვრება ცხოველებში საზოგადოებრივობის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენს. როგორც ჩვეულებრივი ჭიანჭველები, ტერიტებიც ცდილობენ შეერთდნ, შექმნან სახელმწიფო. სწორედ ამ ს გამო დაარქვეს მათ თეთრი ჭიანჭველები, თორემ ისინი არსებითად განსხვავდებიან ჭიანჭველებისაგან.

მეცნიერები 600 ჯიშის ტერიტებს იცნობენ. ზოგ „თემში“ მხოლოდ რამდენიმე ასი „მოქალაქეა“, ზოგში — მილიონი და მილიარდებიც. მათ თითოეულ სახელმწიფოს საუფუძვლად უდევს სხეულის მოყვანილობის სხვადასხვაობა, ისინი კი ხშირად იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ძნელი დასაჯერებელია, თუ ერთსა და იმავე რასას ეკუთვნიან.

ტერიტებს ჰყავთ „დედ-მამა“, „მუშები“ და „ჯარისკაცები“. „ჯარისკაცები საშინლად განსხვავდებიან „მუშებისაგან“: მათ აქვთ უზარმაზარი თავი, რომელიც ხშირად კიდევ სჭარბობს დანარჩენ ტანს. თავზე აქვთ საშინელი ყბები — ხელის, შუბის ან ნამგლის მ'გავისი, რომლითაც ომობენ. აბისინიაში ერთი სწავლული ისე დაკბინა



ავსტრალიის ტერიტების საკომპასო ბუდე, რომლის ვიწრო გვერდები ყოველთვის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ არის მიმართული, ფართო კი — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

ტერმიტმა, თითქოს მაკრატლით გაეჭრას ხელი, და სისხლმა იწყო ღენა.

ტერმიტების სახელმწიფოში ცხოვრება ყოველდღე ერთნაირად მიმდინარეობს. მისი პირველი კანონია: დილიდან საღამომდე შრომა და საზოგადოების თითოეული წევრის მიერ თავისი მოვალეობის მტკიცედ შესრულება. წელიწადში მხოლოდ ერთი დღეა, როდესაც ყველა მათგანი ქეიფობს, უქმობს — ეს არის „ქორწილის დღე, ამ დღეს ისტუმრებენ ტერმიტები უცხო ადგილებში უამრავ ნორჩ „დედ-მამას“, რომლებმაც უნდა დააარსონ ახალი სახელმწიფოები და გააძლიერონ თავისი რასის ბატონობა.

როგორც ღრუბლები, ისე მიფრინავენ ასიათასობით ეს ნორჩი არსებანი (მათ გრძელი და ვიწრო ფრთები აქვთ), რომ დასტებენ თავისუფლებით და ახალგაზრდობით. მაგრამ მალე ელევით ძალ-ღონე ამ „ფრთოსნებს“ და მიწაზე ეცემიან, რომ შემდეგ არასოდეს აღარ განშორდნენ მას: ისინი ძირში მოიღრღნიან ხოლმე ფრთებს; მაშინ ისინი დაიყოფიან წყვილებად და თითოეული წყვილი მიდის სასეირნოდ, რომ სადმე მონახოს ბუდისათვის შესაფერი ადგილი. როდესაც ასეთი ადგილები მოინახება, ეს „დანიშნულები“ ჩერდებიან და თხრიან მიწას, რომ იქ მოიწყონ საქორწილო ბინა. ამრიგად, დაქორწინებას წინ უძღვის „ნიშნობის“ ხანა.

თუმცა ყოველწლიურად აკლდება უამრავი წევრი „სახელმწიფოს“, მის მოქალაქეთა რიცხვი მაინც არ კლებულობს, ვინაიდან იქ არის „დედა“ (მხოლოდ ერთი), რომელიც 8-10 სანტიმ. სიგრძისა და თითის სიმსხოთვით უცნაურ არსებას წარმოადგენს. ის თითქმის არ ინძრევა. მის გვერდით ზის შედარებით პატარა „მამა“. მათ ეხვევა უამრავი მუშა, როკლების ნაწილი დედა-ტერმიტს წამდაუწყემ აწვდის საკმელს, მეორე ნაწილი კი მიდაზაჯებულისა, რომ დაიჭიროს კვერცხი, რომელსაც ყოველ ორ-სამ წამში სდებს „დედა“, გასწმინდოს და წაილოს ერთ-ერთ გამოსაჩეკ საკანში. ყოველივე ეს საშინლად სწრაფად და წესიერად კეთდება. დედა 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 100000000 კვერცხს დაკლავს.

სასახლეში მუშებს გარდა არის მილიცია და ჯარი. პატარა ჯარისკაცები თავს ურტყამენ ზურგზე ზარმაც მუშებს, ზორბა ჯარისკაცები კი წრედ შემოერთებულ მთელ ამ საზოგადოებას, რომლისკენაც აქვთ ბოლო, უზარმაზარი თავი კი, საშინელი გაზებით შეიარაღებული, გამზადებულია დაუბატოებელ სტუმრებთან საბრძოლველად.

პირდაპირ გასაოცარია ტერმიტების შენობები; ისინი იმდენად დიდი და ბევრია, რომ ჩრდილო ავსტრალიის სანაპიროებთან შორიდან მკვადრთა სოფელს წაავაგეს.

სხვადასხვა ჯიშის ტერმიტები შენობებისათვის სხვადასხვა მასალასა და ადგილს ირჩევენ, ფორმაც ერთნაირი არა აქვთ მათ. ზოგიერთები ხეს ლეკავენ, კარტონის მსგავს მასას აკეთებენ და იმით იშენებენ სახლებს, ზოგიერთები მიწას ლეკავენ, დანერწყვავენ, მერე საკმლის მომწიფებელ ორგანოებში გაატარებენ, და ეს მიწა მეტად მაგარი და კარგია შენობებისათვის. ზოგიერთები კარტონსაც იყენებენ და მიწასაც. ადგილის არჩევაშიც სხვადასხვაობაა: ზოგი ქალაქი მხოლოდ მიწისქვეშაა, ზოგი კი ამაყად წამოკიმულა მიწის ზედაპირზე. არის ბუდეებიც — ხეებზე. მიწაზე აგებული შენობების სიმაღლე საოცარია — 7-8 მეტრი, ე. ი. 4-5 კაცის სიმაღლე. შენობებს აქვს თავისი სტილი და აშკარად ჩანს ტერმიტების გემოვნება.

ყველაზე უფრო გავრცელებულია კონუსის მსგავსი სახლები (შაქრის თავის მაგვარი), განსაკუთრებით აფრიკაში; მათი სიმაღლე 3-4 მეტრს უდრის, ძირი — 8-10 მეტრს; არის „პირამიდისებრი ბუდეებიც“, თანაც ისე მრავლად, რომ კაპ-იორკის ნახევარკუნძულზე ერთ კონცხს „ქიანქველების გორაკთა კონცხი“ ჰქვიან.

ავსტრალიაში აღმოჩენილია ტერმიტების სულ სხვა სახის სახლები (იხ. სურათი). განსაკუთრებით საინტერესოა ავსტრალიური „კომპასის“ შენობები; ეს სახელი




ტერმიტების ბუდეები ავსტრალიაში, კიმბერლეის ოლქში.

ჰქვიან მათ იმიტომ, რომ სიგრძივი კვეთის ღერძი ყოველთვის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიდის, განივი ღერძი კი — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მოგზაურებს მათი გამოყენება შეუტყდომლად შეუძლიათ კომპასის მაგვარად, და სახელიც აქიდან წარმოიშვა. როგორც გამოირკვა, ასე აშენებენ იმიტომ, რომ განივ კედლებს ყველაზე ნაკლები ფართობი აქვს და მზე იმდენად ველარ ახურებს სახლს.

ავსტრალიაში არის აგრეთვე „კოშკისებრი ბუდეები, სიმაღლით 7-8 მეტრი.

მაგრამ ყველა ტერმიტი კი ვერ აშენებს ასეთ მართლაც შესანიშნავ სახლებს — ბუდეებს, ზოგი ჯიშის მიწის სოროებში ცხოვრობს ან დამპალ ხეში გამოკმულ ხერვლებში.

თუ გაეხსნით ერთ-ერთ დად გორაკს, უეჭველად ვნახავთ გულდასმით გასუფთავებულ სწორ ბინებს, სადაც ნორჩი ტერმიტები არიან და არის აკრეფე დიდი გუნდები — დაღეჭილი და მერე შეწებებული ხე. ესაა „საბაჟო“ ოთახები და ამავე დროს ბოსტნები, სადაც აშენებენ ქიანქველები მათთვის სასარგელო კულტურულ მცენარეებს. საქმე ისაა, რომ ტერმიტები, როგორც ზოგი ქიანქველები, აშენებენ ერთგვარ სოკოს, რითაც იკვებებიან ნორჩი ტერმიტები. ხის ცომის გუნდაზე იზრდება სოკო, და რადგან ხე მათ იფიტება, სულ ახალ-ახალი დაღეჭილი ხე სჭირდება ბოსტანს, რასაც ტერმიტები მოულოდნელ კიდევ და ამით ანადგურებენ მთელს ქალაქებსა და სოფლებს.



ვებერთელა „დედა-ტერმითი“ (თეთრი); მის გვერდით—„მამა“, ირგვლივ კი მუშებრი, რომლებსაც მიაქვთ დედის მიერ დადებული კვერცხები. წინ ჩამწყვრივებული არიან მხედრები—მცველები,

სადგჯენები.

ამერიკაში უზარმაზარ სახლებს აშენებენ, რომლებსაც ცადმბჯენებს ეძახიან. 1918 წელს ნიუ-იორკის უმდიდრეს ნაწილში — მანხატანში — 61 შენობა იყო, რომლებსაც 20-20 სართულზე მეტი ჰქონდათ, ახლა კი, ათი წლის შემდეგ, 194 ასეთი შენობაა. იქ ყოველწლიურად ადგენენ 12-20-30-40 სართულიანი სახლების პროექტს და იწყებენ კიდეც შენებას. 1926 წელს შეიმუშავეს 110-სართულიანი სახლის პროექტი და შენებაც დაიწყო. ეს სახლი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული; მისი სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 269 მეტრს უდრის.

ინჟინერები ცდილობენ რაც შეიძლება უფრო ღამაში ცადმბჯენები ააშენონ, და ამ ბოლო ხანებში მართლაც მშვენიერი პროექტები დაამზადეს: ზემო სართულები უფრო ვიწროა, ვიდრე ქვემო სართულები და ეს კიდეც ალამაზებს ცადმბჯენს და სინათლესა და სუფთა ჰაერსაც აძლევს ყველა სართულში შეჭრის საშუალებას.

დედამიწაზე არსებულ ცადმბჯენებში ულამაზესად ითვლება ნიუ-იორკის ტელეფონის სადგურის ახალი შენობა, რომელსაც მთელი უბნის ოდენა ადგილი უჭირავს — სიგრძით 70 მეტრი და განით 61 მეტრი.


მას მიწის ქვეშ აქვს 5 სართული და მიწის ზევით — 34. ამ შენობის კანტორებში 6000 კაცი მუშაობს; მას აშენებდნენ 1923-26 წლების განმავლობაში. ახლა შენდება აგრეთვე 65-სართულიანი „კრესლერი“ რომლის სიმაღლე 247 მეტრი იქნება.

ცადმბჯენებს აშენებენ აგრეთვე კანადაშიც, განზრ ხულია ჩიკაგოშიც აიგოს 75-სართულიანი სახლი, სადაც ყოველწლიურად 18.000 კაცი იქნება — მოსამსახურენი და მოსვლელი ხალხი. ამ ცადმბჯენისთვის საჭიროა... 20.000 კილოვატის ძალის ელექტროსადგური.

რით უნდა ავიდეს მდგმური ცადმბჯენის მე-110 სართულში? კიბეს რომ აპყვეს, ხომ რამდენიმე საათს მოუნდება ასვლას და ისე დაიქანცება, რომ იმ დღეს ალარაფრისთვის აღარ ივარგებს. სწორედ ამისათვის

არის მოწყობილი ამყვანი მანქანა, ლიფტი, რომელიც იმ სართულზე გაგაჩერებს, რომელზეც გსურს: თუ ხელს დააქერ ლიფტის მარტვალს № 37, მაშინ ის მე-37 სართულზე გაჩერდება, თუ № 110 დააქერ თითოს, ის მე-110 სართულზე ავიყვანს. აქამდე ლიფტის სისწრაფე წუთში 2,5 მეტრს უდრდა, ახლა კი 4,5 მეტრამდე ავიდა.

ცადმბჯენს უარყოფითი მხარეებიც აქვს: ის აბნელებს მის პირდაპირ მდებარე სახლებს, არ უშვებს მზეს მისკენ, იწვევს საშინელ დიდ მოძრაობას იმ ქუჩაზე, სადაც ის არის აშენებული, ალამიანს თავი სადღაც ჭაში ჰკონია, როდესაც ქუჩაზე მიდის და ორივე მხარეს ცადმბჯენები ამართულაღრუბლებამდე.



როგორ უნდა დაგვეხმარონ დელეგატი ქალები ქალაქი და როგორ დავეხმარეთ მათ.

როგორ უნდა დაგვეხმარონ დელეგატი ქალები? უპირველეს ყოვლისა, სადელეგატო პუნქტების ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პიონერთა მოძრაობის საკითხების შესწავლას თავის პუნქტებში, რომ დედა იცოდეს, რა მიზნებს ემსახურება ის ორგანიზაცია, რომელშიაც მისი შვილი იზრდება. ცალკე დელეგატმა ქალებმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ პიონერკოლექტივებთან, უნდა წარმოებდეს მათ მიერ სათანადო მითითებების და დავალების მიცემა პიონერებისადმი.

ყოველი მზარეული ქალი უნდა ცდილობდეს პიონერს მისცეს ზოგიერთი სასარგებლო ჩვენები, როგორცაა: საუზმის სუფთად შენახვა, სარეცხის რეცხვა, ნემსის სწორედ ხმარება და სხ. ხშირად შეამჩნევს პიონერი თავის ოჯახში, რომ როდესაც პატარა ბავშვი ნემსს დაიჭერს ხელში და ცდილობს თავის დედოფალას კაბა შეუკეროს, დედა უწყურება მას და ნემსს ხელიდან გამოჰკლავს იმის ნაცვლად, რომ ისარგებლოს ბავშვის ასეთი მისწრაფებით და გამოიძუშავოს მასში სათანადო ჩვევა სწორი კერვისა და ნემსის ხმარებისა.

ხშირია შემთხვევა, რომ მშობელთა კრებები იწვევა, და ზოგიერთი დედეები ქუჩაში მეზობელ ქალებთან საუბარში ატარებენ დროს, კრებებზე კი არ მიდიან. საჭიროა ამ მხრივ ქალთა ორგანიზაციის ხაზით სათანადო მუშაობის ჩატარება.

დელეგატი ქალი უნდა აკვირდებოდეს როგორც თავისი ბავშვის, ისე მეზობელი პიონერების ყოფაცხოვრების კარგ და მახინჯ მოვლენებს და უნდა აყენებდეს საკითხს კოლექტივის ხელმძღვანელთან ერთად იმ მახინჯ მოვლენათა თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

გარდა ამისა, არის მთელი რიგი კონკრეტული სახის დავალებანი, რომელთა განხორციელებით ქალებს შეუძლიათ ღირსეული წვლილი შეიტანონ პიონერ-მუშაობაში.

რა როლი უნდა შეასრულონ პიონერებმა?

პიონერებმა კარგად იციან, რომ ზოგიერთი მშობლები თავის შვილებს სცემენ, თუ რაიმე ცუდი ჩაიდინეს, იციან აგრეთვე, რომ ასეთი მეთოდი აღზრდისა ყოველად უვარგისია, — არა ცემა, არამედ დარიგებითი ზომების მიღება საჭირო მის გამოსასწორებლად. საჭიროა ასეთი საკითხი დასმულ იქნეს კოლექტივში და მოიწვიონ ქალთა სპეციალური კრებები აღნიშნული საკითხის გასარჩევად და სათანადოდ მომზადებული ამხანაგების საშუალებით განუმარტონ ქალებს ბავშვთა ჯანმრთელობისათვის ცემა-ტყეპის მავნებლობა.

ასეთი საინტერესო საკითხი აუცილებლად უნდა მოისმინოს მშობელთა ფართო კრებამ, რისთვისაც პიონერებმა ხელი უნდა შეუწყონ მშობლებს, რომ გამოცხადდენ კრებებზე. მოვიყვანოთ მაგალითი:

„წვიმს, ბავშვები ლელავენ, რომ მათ კრებაზე არავინ არ მოვა, ესაყვედურებინა წვიმას. წვიმა თანდათან კლებულობს. ბავშვებს უხარიათ. — მარო, დედაშენი მოიყვანე? — მოვიყვანე, — თავს იწონებს პიონერი. დარბაზი გაივსო მშობლებით. აიწია ფარდა, მშობლები გაეცნენ, თუ რას აკეთებენ პიონერები კოლექტივში, რატომ არის მავნებელი ბავშვების ცემა და სხ. კრება მთავრდება რეზოლუციის გამოტანით, რომელშიაც სწერია: „მშო-

ბელთა კრება ფიქრობს, რომ ბავშვების ცემა უნდა აღმოფხვრას, როგორც მავნებელი ჯანმრთელობისათვის, და ის უნდა შეიცვალოს სისტემატიური ზეგავლენის მოხდენით. საჭიროა კრებების ხშირი მოწვევა“ და სხ.

თუ სოფლად გამოცხადებულია ქალთა კრება, პიონერებმა უნდა აცნობონ როგორც თავის დებს, დედებს, ისე მეზობლებსაც, უნდა გაუშვან ისინი კრებაზე, თვითონ უნდა დარჩენ შინ და მოუარონ როგორც ოჯახს, ისე პატარა ბავშვებს.

თუ ძმები და მამები სცემენ ქალებს და არ უშვებენ სახლიდან, პიონერმა ასეთებზე უნდა აცნობოს ქალთა სარაიონო ორგანიზატორებს სათანადო ზომების მისაღებად.

ზოგიერთ ოჯახში ქალი პირდაპირ მონის მდგომარეობაშია, მთელი საოჯახო და სამეურნეო მუშაობა მას აწევს კისრად, ზოგიერთ ოჯახებში შემოღებულია შვილებისთვის ფეხის დაბანა. პიონერმა ასეთ ჩვეულებას პროტესტი უნდა გამოუცხადოს.

ჩვენში ძლიერ გავრცელებულია ძუძუმწოვარი ბავშვების ცუდი მოვლა: ბავშვებს ახვევენ ჩგრებში, აწვენენ აკვანში და სხვა, რის გამო ნაკლებად ვითარდება მკერდი, რაც ხელს უწყობს ფილტვების სისუსტეს. პიონერკოლექტივმა უნდა აიღოს თავის თავზე ინიციატივა ბავშვთა კონსულტაციის შესაქმნელად, სადაც ქალები მიიღებენ ექიმთა რჩევა-დარიგებას, თუ როგორ აღზარდონ ბავშვები.

მკითხაობა და ექიმბაზობა ძლიერ გავრცელებულია ზოგიერთ სოფლებში, მათი მასზარდობელი წყარო უმეტეს შემთხვევაში ქალებია, რომლებიც მატყუარა მკითხავენს ქათმებით, კვერცხებით და ფულით უმასპინძლებიან; პიონერმა დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ასეთებს, უნდა აწარმოოს აგიტაცია, რო დედებმა ბავშვის ავადმყოფობის დროს ექიმბაზის ნაცვლად ექიმს მიმართონ, რომელიც მართლაც ეხმარება ავადმყოფებს.

პიონერებმა დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ხელმძღვანელებთან ერთად უფროსებს ჩადრის საწინააღმდეგო კამპანიის ჩატარებაში. მაგალითად, როდესაც პიონერებმა გაიგეს: კომუნისტების ცოლები, რომლებიც ქადაგობენ ჩადრის მოხსნას, ჩადრით დაიარებიანო, მათი სია გამოაკრეს ვაზეთში წარწერით „იმ კომუნისტების ცოლები, რომლებიც ქადაგობენ ჩადრის მოხსნას“, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ ქალებმა აიხადეს ჩადრი.

იმ მხარებში, სადაც განვითარებულია მეღვინეობა, ბავშვები პატარობიდანვე ეჩვევიან არაყის, ღვინის და სხვა სასმელების სმას. ხშირად დედები მათ ძალას ატანენ, რომ დაალევიონ ღვინო, რადგან მათ არ იციან ის საშინელი შედეგი, რომელიც ღვინის სმას მოსდევს და რომელიც ანადგურებს ბავშვის მომავალს; პიონერორგანიზაციებმა უნდა აიღონ ინიციატივა და ქალთა ორგანიზაციის დახმარებით უნდა მოიწვიონ მშობელთა კრებები, სადაც უნდა განუმარტონ მათ ღვინის სმის მავნებლობა (ექიმების დახმარებით).

გარდა ზემოხაზოვანი კონკრეტული სახის სამუშაოებისა, პიონერებს შეუძლიათ მთელი რიგი სხვა სამუშაოების შესრულებით დაეხმარონ ქალებს, რომ იმათ ღირსეულად შეასრულონ ღვინის ანდერძი:

„აღზარდეთ უშიშარი მებრძოლნი და სათანადო მოქალაქენი სოციალისტური საზოგადოებისათვის“.

ელპ. გეგენავა

რა წიგნები ვიკითხოთ?

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელო წიგნაკები:

აკაკი მახათაძის ბროშურა: „რა არის მუშაობის ახალი სისტემა“. ბროშურის მიზანია მიეშველოს პიონერორგანიზაციის ძირა მუშაკებს ახალი სისტემით მუშაობის გატარებაში. წიგნი უნდა შეიძინოს პიონერორგანიზაციის ყოველმა ძირა მუშაკმა და, სასურველია, მასწავლებლებმაც. წიგნი შეიცავს 55 გვერდს და ძვირი არა ღირს — 30 კაპ.

ამხ. მ. გორგაძის ბროშურა: „ნორჩ პიონერთა ბანაკი“. ბროშურა შემდეგი თავებისაგან შედგება: ნორჩ პიონერთა ბანაკი, მოსამზადებელი მუშაობა, ფიზიკური გაჯანსაღების საქმე გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში, შრომა ბანაკში, სამხედრო მუშაობა ბანაკში,

სასოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა, კულტურული დასვენება და სხვ. წიგნი 91 გვერდს შეიცავს და ღირს 60 კაპ.

გამომცემულია აგრეთვე შემდეგი ბროშურები:
აბესაძის და გორგაძის: „პიონერთა თამაშობანი“, ფასი 80 კაპ.

აბესაძის და გორგაძის „პიონერკოლექტივების საგზაფხულო და საზაფხულო მუშაობანი“ — ფასი 60 კაპ.
„მუშაობის ახალი სისტემა“ — მასალების კრებული, ფასი 75 კაპ.

„პიონერ-მუშაობა სკოლაში“ — მასალების კრებული, ფასი — 40 კაპ.

„მოისაზრე“ (გასართობ ამოცანათა კრებული პატარა ბავშვთათვის), ფასი — 55 კაპ.

მიმომხილველი.

ამხ. რედაქტორო!

გიგზავნით 1 მ. 50 კ. ჟურნალ „პიონერისათვის“ სამი თვით, ივლისის პირველიდან.

ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. მოსესოვ ლუსიკას,
2. ვალუსტოვ მარგოს,
3. ნონიევ ლუსიკას და 4. ვალუსტოვ მიშას.

არჩილ გოცირიძე.

რედაქციისაგან: ჩვენ მივიღეთ ეს წერილი, მხოლოდ მისამართი არ არის და არ ვიცით, სად უნდა გაიგზავნოს ჟურნალი. შეგვატყობინეთ მისამართი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- | | | | |
|--|-----|---|-----|
| 1. პატარა მუშა — არაზის | 88. | 11. მეცნიერება და ტექნიკა | 88. |
| 2. ქარხანაში — ლექსი — ვ. გ. | 3. | 12. კოოპერაციის საერთაშორისო დღე — პატარა კოოპერატორის — გარეკანის მეორე გვერდზე . | 14. |
| 3. აზა — სეზმან ერთაწმინდელის | 4. | 13. პრინციპული განხეთქილება — ცირასი — გარეკანის მეორე გვერდზე. | |
| 4. პიონერულ შეკრებათა მნიშვნელობა და მათი ამოცანები | 6. | 14. როგორ უნდა დაგვეხმარონ დღეგატი ქალები და როგორ უნდა დავეხმაროთ მათ — ელ. გიგინავასი — გარეკანის მესამე გვერდზე. | |
| 5. ჩერი გაქცევა — ვ. ა — ძის | 7. | 15. რა წიგნები ვიკითხოთ, — მიმომხილველის გარეკანის მეოთხე გვერდზე | |
| 6. სოფელ პიონერს — ლექსი — გრ. იკოშვილის | 7. | | |
| 7. ზღაპრები ლილინა | 8. | | |
| 8. ახალგაზრდა წითელარმიელების ბანაკში — ელ. შმერლინგის | 9. | | |
| 9. გოჩა — პიესა (დასასრული) — ვ. კობეღის | 10. | | |
| 10. მოზარდ მასწავლებელთა თეატრი — ელ. პოლ — ის | 12. | | |